

20- საუკუნის ავსტრიული ლირიკა. მასალები
ÖSTERREICHISCHE LYRIK DES 20. JAHRHUNDERTS. MATERIALIEN



თბილისი
2006

პუგლ ფონ ჰოფმანსტადი

ჩემთვის

დიდი ხანია, რაც ყოველდღე ეს ჩემი თვალი
ხედავს ჯადოსნურ სამყაროს და ადიდებს ძალით
და ქარიშხალი თავის მგრგვინავ სიძლერას მიმღერს.
ჩემთვის ვარვარებს ვარდი და ხმობს მუხა მაღალი.
მზე დასთამაშებს ჩემთვის ქალის ოქროს ლამაზ თმას
და ჩუმ ტბორს ნაზად ეფინება შუქი მთვარისა.
ამოვიკითხავ სულს ნარნარი უტყვი მზერიდან,
მომმართავს შუბლი ფერგამკრთალი, დრომ რომ დანისლა.
და სიზმარს შევთხოვ: „დარჩი ჩემთან, იყავი ცხადი!“
სინამდვილეს კი – : „იქეც სიზმრად, გაუჩინარდი!“
სიტყვა, რომელიც სხვებისათვის ხურდა ფულია,
ჩემთვის წყაროა ხილვებისა, მზის დანაბადი.
რასაც შევიცნობ, სამუდამოდ უკვე ჩემია,
რასაც კერ ვაღწევ, მიზიდავს და სულს ამჩნევია.
ბანგი ტებილია და სასმელი სულთა აალდა
და ტკბილი ძილით ჩაძინება ამირჩევია.
ღრმა სამყარონი! ო, ისინი ხშირად მეზსნება
და ბრწყინვალებით თვალდავსილი შევიპარები
და ოქროს წრეებს შემომარტყამს იგივე ვნება,
ყოველდღიური და ჩვეული, ვით გათენება.

პროლოგი წიგნისა „ანატოლი“

მაღალი გისოსები
და ურთხლის ღობები,
ფერწასული ღერბები,
ყავლგასული დღეები,
თითქოს, ტყეებს უსიერს
სფინქსები შეუსიეს.

ჰა, იხსნება კარიბჭე –
მთვლემარე ლოქოებით,
მძინარე კასკადებით,
მტვრიან როკოკოებით.
თქვენს წინაშე ვენაა,
ვენა – დროის გამოცვლის,
ვენა – კანალეტისი, -
ათას შვიდას სამოცის.

ტბორებს, მშვიდს და ყავისფერს
სწორი სარკეც შერთვია,
მარმარილოს ჩარჩოში
გამარჯვების ღმერთია.
გაწოლილან ჩრდილები
ერთნაირი შანდლების,
გუმბათოვან ტოტების,
კოხტა ოლეანდრების.
რტოების და ვარჯების
ნიშა გადაირწევა,
ქალების და ვაჟების
თავშესაფრად იქცევა.
წყალი მოქრის მეხივით,
ალბათ, არც გადიკარებს,
აკსებს სამი დელფინი
მოშრიალე ნიჟარებს,
მოთქრიალე ჭავლები
ამ სურნელით თვრებიან,

ნიუარაში ჩამხრჩალი –
წაბლის ყვავილებია.
მიღმა ურთხლის გალავნის,
ვნებით და გამეტებით,
ამორეტებს ესხმიან
მკვნესარე კლარნეტები.
ყვავილების ქროლვასაც
ვიოლინო განაგებს,
წყდება იასამანი
მარმარილოს ლარნაკებს.
გაიშლება ჟასმინი,
ილვრება მაქმანები,
ჩამომჯდარა რამპაზე
გუნდი ბანოვანების,
როგორც მორთულ-მოკაზმულ
ქარაფშუტებს სწვევიათ,
მონსინიორ ვიოლეტს
ისე შემოჰკვევიან.
ტოტებიდან ნაშუქი
სინათლე გაანათებს
მათ ფერხთით წამოწოლილ
კავალრებს და აბატებს,
მათ ოქროსფერ პარიკებს,
რტოებსა და ღეროებს,
კედლებსა და კიბეებს,
კორდებსა და მდელოებს,
ღვინო, ქართან შერწყმული,
აღმა მისდევს ბილიკებს,
ქამრებს, მჭიდროდ შეკრულებს,
წამში მოაშილიფებს,
ნათელ სვეტებს ედება,
შეედრება ხვიარებს
და, მათ შორის, ხალიჩას
აშლის, ააფრიალებს,
ჭრელი და საყვარელი
შეირჩევა შპალერი.

ო, მეცნიერეს ასეთი
ფარა არ ღირსებია –
ეს, ოსტატის ნაქსოვი,
გატოს ესკიზებია.

მზე – ნათურის მაგივრად,
სცენის ნაცვლად – ფოთლები...
მაყურებლის წინაშე
ყოველდღე ვიოფლებით.
ვდგამთ საკუთარ პიესებს –
გულჩილსა და სევდიანს...
საკუთარი სულების
ვთამაშობთ კომედიას.
გვჯერა, გრძნობებს გუშინდელს
დღეს რომ გამოვიგლოვებთ,
ცუდ რამეებს ვივიწყებთ,
კარგ ფორმულებს ვიგონებთ.
მხოლოდ – ბრტყელი სიტყვები,
ფერადი სურათები,
სულთმობრძავის ხილვები,
იდუმალი ხატები.
ზოგი ისმენს გონებით,
ზოგი კიდევ, ისე რა...
ზოგი ნაყინს მიირთმევს,
გალანტურად იქცევა.
ქარში თეთრი, მაღალი
მიხაკები ირწევა,
როგორც ცაზე გაქრული
ფრინველების ამქარი,
როგორც წყებად ნაკეცი
უთეთრესი მაქმანი,
როგორც ბოლონიური
ცეროდენა ფინია,
როცა უყეფს ფარშევანგს,
უყეფს და... ეშინია.

აღრეული გაზაფხული

მიქრის შიშველ წეივნებში
გაზაფხულის ქარი,
სულს იტაცებს მისი ფრთები —
უცნაურად ჩქარი.

ო, ქარს სურდა სულ იქ ევლო,
სადაც გლოვა ისმის.
აწეწილ თმას გადაევლო,
დაასველა ნისლით.

აკაციის ყვავილებსაც
ის ქარი ძირს ყრიდა.
აგრილებდა კიდურებსაც
და ურუანტელს ჰგვრიდა.

აქ შეეხო მღიმარ ბაგეს
ფხიზელი და ლბილი
და წინკარსაც ლაღად დამღერს,
ფხიზელი და მკვირცხლი.

სრიალებდა ფლეიტაში,
გულამოსკვნით ხმობდა
და თვითონვე დაჰკრა ტაში,
დაისს ჰკადრა ოდა.

ოთახები მოჩურჩულე
ჩუმად მოიარა
და ანთებულ ლამპრის გულებს

უთხრა: „დაცხრით! კმარა!“

შიშველ ხეივნებში გარბის
გაზაფხულის ქარი.
სულს იტაცებს მისი ფრთები —
უცნაურად ჩქარი.

ფერმკრთალ ჩრდილებს ერეკება
ქარის ქროლვა, ქროლვა...
შიშველ ხეივანთა კრება,
კართა ამოქოლვა

და სურნელით, მას რომ მოპყვა,
თან რომ მოიტანა,
წუხანდელმა ღამემ მორთო
მისი გამოცანა.

სიცოცხლე

მზე სიცოცხლისგან სულ მთლად დაცლილ დღეებს ჩაუდის, ქალაქს, ოქროსფრად მფერავად და სულის მომთქმელად, როგორც დროს, რასაც აქ სათქმელი და ვარაუდი ბევრი რამ პქონდა, რითაც ზღვა და მთა გადმოთელა, და – ჩრდილს, რომელსაც ოქროსფერი მიაქვს ჰაერი, სადღაც ჩაძირულ დღეებისა; ყველა საათის წუთებს, რომლებსაც შეცვლილი და მრავალნაირი შესაძლებლობის სუნთქვა ფარავთ, მავალთ ტაატით.

უკიდეგანო, მკრთალ ბალებში დილა სუფევდა, სავსე ობლობით და სურნელით, ყველგან მარებით, და მზე ამოდის, თანამგზავრნი ჩანან მუხებთან, მათით სავსეა ამ ფოთლების თაღ-თალარები. მომავლის აზრი, რაც გამრავლდა ნაპერწკლებივით, მშვენიერებას რომ ისრუტავს მარტოდ ყოფნიდან, თმების სუროთი, პირგახსნილი და ღვთაებრივი, ციდან გადმოღვრილ ფრინველების გუნდად მოფრინდა.

ჩვენ გვაცოცხლებდა ყველა ნივთი, ყველა საგანი და მენადების სუნთქვა ქარში დაპქრის დაისად, ხელების ვერცხლი ბნელ ტბებიდან სივრცეს აქანებს და მეოცნებე დრიადების ჩქამიც გაისმა – მყუდრო წვიმებში, მოწყენილნი, სწუხან ნიადაგ ღამის იღუმალ წყალობებზე, ყვითელ მთვარესთან, და მშვენებათა ბედზე სწუხან, ადამიანთა უგულობით და სიბეცით რომ გაუარესდა.

მაგრამ ბალიდან გამოვედით, ვხედავთ, ტალღებზე

გაჩერებულან გალერები თეორი აფრებით:

ვიღაცის დარღებს სალამური მწარედ აკვნესებს
და ფართო, მეფურ კიბებზე, მიუსაფრები –
ვერცხლის საყვირით და მეწამულ ბრწყინვალებითა
და ცნობილ ბერძენ ჰეტერათა ცნობილ გუნდებით –
გაჩერებულან გალერები, აივნებიდან
შემოგვცერიან, ჩვენ კი მაგათ ცქერას ვუნდებით.

მუქ-ლურჯ ტალღებზე ოცნების და ნატვრის ასახდენ
კუნძულებისკენ ოქროსფერი გემი მიცურავს,
სალამურის ხმაშ ჩაუქროლა დროის ფასადებს
და გზებზე, სადაც ყვავილები ყრია გიუურად –

თეატრის შავი მარმარილოს ფართო თაღიდან
ვჭვრეტთ მოზეიმე მომღერალთა გუნდის მსვლელობას,
რომ მღერით უხმონ ბაქოსა და მუზებს აქედან,
ტრაგედიად რომ ქმნიან ბუფის უდარღელობას.

და ჩირაღდნების შუქში, სადაც ჩრდილი ყოველი
ტოკავს – დასრულდა ტრაგედია მართლაც მეფურად,
ამ თეატრიდან ამაზე მეტს აღარც მოველით
და ვუბრუნდებით სახლს, რომელიც დამემ შებურა,
და როგორც ყველა ფორმა შთანთქა ბნელმა აირმა,
ნთქავს მოკვდავობას დრო და გვინდა უკან ვიზევდეთ
და, ზღვის ტალღების რიტმზე მოსულ ძილისნაირად,
სიკვდილის მოსვლა იქნებოდა ახლა სიკეთე.

მე ვეშვებოდი...

ჩავუყვებოდი მთის ფერდობებს, ვეება ფლატეს,
მერე, თევზივით გატრუნული, ვეკვროდი ბაღეს.
აქ, ცის უბეში, უსახელო ღმერთი სახლობდა.
ჩიტი ლალობდა და, დროდადრო, ქარი დაქროდა.

წყლის სარკე როგორ ირეკლავდა ველებს და ჭალებს,
ჩამომდნარ ბორცვებს, შრიალა კორდს, ტყისპირებს მწვანეს!
ელავდა სივრცე, ისრუტავდა მიმინო ცის ნამს –
სიცოცხლეს გრძნობდა ჩემი გული, სიკვდილს და სიზმარს.

სამყარო და მე

წადი ატლანტთან, სიმღერაო, ვისაც სამყარო
ქედით და მკლავით უჭირავს და – ასე უთხარი:
„ოუ შეგიძლია ჰესპერიდთა ქვეყნად წახვიდე
ვაშლის საკრეფად და შრომობდე, როგორც ფუტკარი,

ჩვენს ბატონს უნდა შენი ტვირთის ისე დაჭერა,
როგორც დაკრული ბარბითისა, სულ უანგაროდ,
ან – ხილით სავსე ლანგარისა, ისე მსუბუქად
უჭირავს დღემდე მას ხელებში მთელი სამყარო.

ზღვა, სიღრმეებში მონადირე გველეშაპივით,
სიცოცხლის მატლთა კუნძულებს რომ ჰგვანან ხავსიანთ,
ხენი, რომელთა ფესვნი წყვდიადს შეისრუტავენ,
კენწერონი კი სურნელით და ქარით სავსეა,
და მთვარის შუქი, ყველა ფოთოლს მზედ რომ უბრწყინავს,
და მდელობები, სადაც ძილი აწვენს უძინარს,
სავსენი ყოფნით, ისე, როგორც დოქი წყაროთი,
მთელ სამყაროთი:

... უკავია ეს ყოველივე
ჩემს ბატონს შენდა სამსახურად, მძიმე უღლიანს,
და არ ცახცახებს და სიამით ხელში უპყრია,
როგორც ბაკანი ვერცხლის, სულ რომ უნდა ირთავდეს
ნაკადს წყალისას და სულ იყოს სავსე პირთამდე“.

ეს ყოველივე უთხარ ატლანტს, ჩემო სიმღერავ,
და გოლიათმა ატლანტმა თუ არ დაგიჯერა,
უთხარ: „არ უჭირს ბატონს ჩემსას, ღმერთის სადარებს,
ეპყრას სამყარო, რასაც დღემდე თავით ატარებს“.

ტერცინები

I

წარმავლობის შესახებ

ლოყებზე ჯერაც ვგრძნობ მის სურნელს, მზეს ნაზიარებს.
როგორ ვირწმუნო, რომ ეს ახლო დღეები ასე
უმალ წავიდნენ სამუდამოდ და ჩაიარეს!

ეს ისეთი რამ არის, რასაც ვერავინ ზვდება
და საზარია ბევრად უფრო ამნაირ თქმაზე:
რომ ყველაფერი მიდის, როგორც ტკბობა და შვება

და რომ ჩემი „მე“, შებოჭილი არარა ძალით,
ციცქა ბავშვიდან გადმომეცა მე ნება-ნება,
ჩემთვის ძალლივით უწნო და უცხო და მკრთალი

და რომ ასი წლის წინ ვიყავ და ვვარგოდი ბიჭად
და რომ ძველები მეკუთვნიან ბუნების ძალით,
სისხლ-ხორცად, როგორც თმის კულული, რაც თავზე მიჩანს,

ამ კულულივით მეკუთვნიან, რაც თავზე მიჩანს.

II

ჟამნი! სად ზღვათა თვალშეუდგამ სილაჟვარდეში
მზერას ვაწევებთ და მეცნენი ვხდებით სიკვდილის,
ეგზომ მსუბუქად, საზეიმოდ, ძრწოლის გარეშე –

გოგონებივით, ფერი რომ აქვთ მუდამ მიხდილი,
თვალები დიდი, და ნიადაგ გაყინულები
ერთ საღამოსაც უტყვად სცნობენ: სიცოცხლე ჩუმად

მათ დაბუჟებულ კიდურთაგან გადის სრულებით
ახლა ზეებში, ბალახში და მისუსტებული
ღიმილის ჩენით დაპყვებიან ნაიძულები,

იმ წმინდანივით, თავის სისხლს რომ დაღვრის ვნებული.

III

რითაც ზმანება, ვართ იმავე ძაფით ქსოვილი,
აფახულებენ ზმანებანი თავიანთ თვალებს,
როგორც ბავშვები, ბლის ხეებქვეშ შემოგროვილი,

კენწეროთაგან მქრქალ-ოქროვან გეზს შეუცვალებს,
რა დაადგება მთვარე სავსე და დიდებული.
... სხვაგვარად როდი ვლინდებიან ჩვენი სიზმრები.

სუფევენ, როგორც პირმცინარე ბავშვთა კრებული,
ამოსვლისას და კვლავ ჩასვლისას ეგზომ დიდები,
ვით კენწეროზე სავსე მთვარე გაღვიძებული,

შიგ გულისგულში ქსოვენ მათი ნაზი თითები,
ამ ხელებს სულმა დაგმანული სივრცე ანება,
ჰგიებენ ჩვენში სულ სიცოცხლეს შენაკიდები.

სამს ვჭვრეტ ერთარსად: ადამიანს, საგანს, ზმანებას.

IV

რომ არ გვიყვარდა, ის ქალები მოდიან ზოგჯერ,
როგორც პატარა გოგონები, ჩვენს ძილში, სიზმრად,
და მათ ყურებას ჩვენ კარგა ხანს არ გვინდა მოვრჩეთ.

თითქოს მათ ჩვენთან გაუვლიათ ის გზები, რისგან
დავიღალენით ერთ საღამოს, როდესაც ხეთა
ყველა კენწერო ერთდროულად, ერთივით იძრა,

და სურნელება, შიში, ღამე დაეშვა ნეტარ
და გასწვრივ გზისა, ჩვენი გზისა, ძალიან ბნელი
მწუხრის ნათება შორ გზებამდე რომ აღწევს, ხედავ.

ჩვენი ნატვრა კი სარკე არის დიდი და ძველი,
რაც ელვარებით ჭარბობს სიტყვას, ნიავის ყოველ
ქროლვას, ვარსკვლავსაც, თავს რომ პირველ ციაგებს სწველის,

სულებს დასავით ეპყრობა და ღრმად შეძრულს ტოვებს
და მწუხარეა გამარჯვების დიადი განცდით
და ღრმა შეგრძნებით, რითაც დიდი სიცოცხლის გროვებს

და სიდიადეს და სიმკაცრეს სწვდება და გვაწვდის.

სამყაროს საიდუმლო

ღრმა ჭამ იცოდა ყველივე, კარგად იცოდა:
ოდესლაც ყველა ღრმა რომ იყო და მუნჯიც ცოტა,
მაშინ სუყველას ეკუთვნოდა ეს უტყვი ცოდნა.

ახლა ხმიანობს ამ ჯადოსნურ სიტყვათა ექო –
თუმცა, რაც მეტად ახლოსა ხარ, უფრო გშორდება,
ბაგიდან ბაგეს ეფინება და მეორდება.

ღრმა ჭამ იცოდა ყველაფერი, დიახ, იცოდა –
კაციც მიხვდა და თავი დურთა მაშინვე ჭაში,
და რასაც მიხვდა, დაავიწყდა იმავე წამში.

ალაპარაკდა შეშლილივით და დაამღერა –
ამ ბნელ სარკეში ჩაიხედავს ერთხელაც ბავშვი
და ჭის მორევი სამუდამოდ ჩაითრევს მაშინ.

თავს ვერ შეიცნობს, გაიზრდება, გახდება ქალი –
ქალი, რომელიც შეიყვაროთ უნდა, კაცებო,
საოცარია, სიყვარული როგორ არსებობს!

როგორ იმეტებს სამყაროსთვის ამხელა სიბრძნეს:
იმას, ხელი რომ ვერასოდეს ვერ მიხვდებოდა
და იდუმალად სატრფოს კოცნა გუბნებოდა..

ჩემი სიტყვების გულისგულში გადამალულა –
ასეა, გლახაკს მარგალიტი რომ არ ჰქონია,
ძვირფასი თვალი სხვა კენჭების მსგავსი ჰგონია.

ღრმა ჭამ იცოდა ყველაფერი, კარგად იცოდა,
ადრე რომ ყველას ხვედრი იყო მთავარი მცნება,
ახლა კი, ჭაში, მხოლოდ მასზე ოცნება კრთება.

ბალადა სიცოცხლის მიღმა

და იზრდებიან ღრმათვალება ბავშვები ასე:

არრა იციან, იზრდებიან კვდომისთვის მხოლოდ

და კაცთა მოდგმა ყველა მიდის აქ თავის გზაზე

და მკუხე ხდება უტკბილესი ნაყოფი ბოლოს

და ლამით წყდება, როგორც მკვდარი ფრინველი ციდან,

ზედ რამდენიმე დღე ეყრება და მერე ყროლავს...

და ქარი დაქრის აქ ყოველთვის და ურუოლა გვიტანს

და ჩვენ ვმასპინძლობთ ქარს, და სიტყვას უამრავს ვიტყვით,

გვაქვს მოთხოვნები, ვგრძნობთ სხეულის გადაღლას დიდად

და გზები რბიან ბალაში და არ ჩანან თითქმის

და ადგილები, ხეებით და ტბორებით სავსე,

ჩანან აქა-იქ და ლპობისგან იწყებენ თიმთიმს...

რატომ შეიქმნენ აქ ესენი და რატომ ასე

განსხვავდებიან ერთურთისგან, მჩინარნი მრავლად?

და რა ცვლის სიცილს, ტირილსა და ფერწერულ ხაზებს?

რად გვალხენს ესე ყოველი და თამაშით გავლა,

როდესაც უკვე დიდები ვართ და ვრჩებით მარტო

და, ხეტიალში უმიზნონი, ვერ ვიხვეჭთ დავლას?!

ამნაირები ბევრია და ეს რატომ გვართობს?

მაინც ბევრს ამბობს იგი, ვინაც წარმოთქვა სიტყვა

, „საღამო“, რისგან დის ღრმა აზრი და დარდი ფართო,

როგორც ფუტურო ფიჭებიდან დის თაფლი დიდხანს...

დიდი ჯადოქრის დასიზმრება

თვით მარგალიტის ყელსაბამზე მეფური მეტად
და მარჯვე, როგორც ჭაბუკი ზღვა სურნელში დილის -
სიზმარი ვნახე ისე დიდი - თქმას ძლივსლა ვძედავ:

დიოდა ღია მიწის კარში ჰაერი თბილი,
პავილიონში სწორ მიწაზე მარტოკა ვიწექ,
ოთხ ღია კარში გადიოდა ჰაერი თბილი.

ხოლო მანამდე შეკაზმულმა ცხენებმა მტკიცედ
ჩაიარეს და ჩემ საწოლთან ხროვაც კი ჩანდა
ძალლების, მაგრამ წვერ-ულვაშიც ჯადოქრის მყისვე

ვიზილე ჩემს და კედელს შორის უცნაურ ლანდად,
ჯადოქარი კი იყო დიდი, უბადლო სწორედ
და ამაყ მის შუბლს მეფური თმა თითქოსდა ბანდა...

ივი კედლის წინ როდი იდგა, მის უკან შორეთს,
მორთული ფონით, მოუჩანდა ზღვა ოდნავ ბნელი,
ხელთ ჰქონდა მწვანე ჭილობი და ფარავდა შორეთს.

ის დაიხარა - მოეზიდა მშვილდივით წელი.
ის დაიხარა და თითები ჩაასო მიწას,
თითქოსდა წყალი ყოფილიყო, ფენილი ლელით.

და წყალის თხელი ფენიდანაც, როგორდაც, იმ წამს,
მან შეძლო დიდი ოპალების დაჭერა წამსვე,
თითქოსდა ხელით მცვენარ ბგერებს და წრეებს მისწვდა.

შემდეგ მსუბუქი ნახტომით ის მოევლო თავზე
უფსკრულს ამაყად და მე მასში ვნახე სიმძიმის
ძალაუფლების დასრულება, წიფათით სავსე.

თვალებში მძინარ სიმშვიდისა უჩანს ციმციმი,
თითქოს სხივები პატიოსან თვლებისა ელავს,
მერე დაჯდა და შენობით და სიცილ-სიცილით

მიმართა დღეებს, ჩავლილი რომ გვგონია ყველას:
უთხრა, რომ ჩვენთან მოსულები არიან სევდით,
რამაც უბიძგა, სიცილს ცრემლით შერთვოდა ხელად.

ის გრძნობდა, ჩვენს თავს რაც ხდებოდა შობიდან დღემდის,
ვით თავის ხელ-ფეხს, და რაღაცით მოჰვავდა დემონს,
არაფრად თვლიდა შეუძლებელს, უმძიმეს ჩვენთვის.

და როგორც მიწა, გრილდებოდა სიღრმეში, ქვემოთ,
ზევით აღწევდა სიბნელე და კენწერო ხეთა
ათრობდა დამეს და იცოდა მან ყოფნის გემო.

ყველა სიცოცხლის დიადი სვლით თავს გრძნობდა ნეტარ
ისე ძალიან, რომ უფსკრულებს, ზედმეტად მთვრალი,
გადახტომოდა შეეძლო მას ლომივით მხნედა.

ქურუმები და ღმერთი ჩვენი სული და ძალი
არისო, თქვა, და - საგარმელი ზეცაში უდგას
და გვმოძღვრავს ბრძენი და შეცდომებს გვანიშნებს თვალით.

და ის ჩვენს გულში ცეცხლია და იქნება მუდამ.
ეს განვიცადე, როდესაც ეს სიზმარი ვნახე,
სადაც ის შორ ცეცხლს ესაუბრა კარგად თუ ცუდად
და ცოცხლობს ჩემში, ვითარცა მე ჩემ ხელში, აგერ...

წერილი რიხარდ დემელს

მე ცხენს ყოველდღე დავაჭენებ ძალიან დიდხანს,
ხან გამჭვირვალე, სუფთა წყალში, ხანაც - მღვრიეში,
ხან - ტყეში, სადაც მიწა ცხენის ფლოქქვეშ ბუყბუყებს,
ხოლო ხანდახან მივჯირითობ მზის შესახვედრად,
მისი სპილენძის დისკოსაკენ, შავ ბუჩქებს შორის,
ზოგჯერ ნოტიო, ცივი ქარის პირისპირ, ზოგჯერ
ცხელ, საცალფეხო და ციცაბო გზაზე, ხანაც კი,
კედლის გასწვრივ და განათებულ, უძრავ ჰაერში,
ისე, რომ დათვლა შემიძლია ვაშლის ხეების –
შორეულ გზებზე შეფენილის – დაგრეხილ ტოტა.
თანაც ნათებას ვხედავ შორს, შორს, გუბეებისას
და ამ ჩემს ძელას, წითელ ქუდს და თეთრ ხელთათმანსაც
ხედავენ შორს, შორს, ძალიან შორს, თვალსაწიერთან,
ხედავენ ჩემ ბნელ ფეხებსა და მკლავებს და ბეჭებს,
ყვითელ კედელთან, უფრო სწორედ, ნათელ ჰაერთან,
ხედავენ, როგორც გაფრენილ ბროლს თუ ბროლის ჭიქას,
რაც ცეცხლის თავზე დაფარფატებს და დალივლივებს.

ზოგჯერ ჩემს გვერდით ვარჯიშობენ სხვანი მრავალნი
და ყველაფერს და ყოველივეს ხმაური ავსებს
და ჟღერენ მწვანე ორმობი, ხოლო ჰაერი
გავსებულია ზრიალით და მე ვხედავ, ჩემს წინ
(ქარის ქროლვისგან აცრემლებულ თვალებით ვხედავ),
ფლატეზე როგორ მიგელავს და დაწინაურდა
წაბლა და შავრა ორი-სამი ფეხმარდი ცხენი.
მხოლოდა თეთრი ლაქები და, არეულ ბრძოში,
მუზარადები ოქროსფერი და მახვილები
კრთიან რაინდთა და, ვითარცა ბადე ძარღვების,

მთვარის ნათელში ლიცლიცებენ ტალღები ტბორში
(რომლის ლურჯ თავზე გდია მთვარე რძესავით თეთრი
და მრავალი კუ ყვირის, ყვირის, გასაკვირია).

ხოლო ამჟამად მე ვჯირითობ სრულიად მარტო
და სიჩუმეა - გაიგონებ ბუზის გაფრენას,
როდესაც მელას კისერიდან მხარისკენ მიფრენს,
დიდხანს ვაყოლებ თვალს ნისლის ყვავს, ვითარცა ყვავი,
მერე მიყვები იმ უშავეს ნისლებს რუს გზაზე,
ველტვი ხების კენწეროებს და კარგად ვხედავ
მამალ ხოხების ერთმანეთან საჩხუბრად მისვლას,
დაბალ ბალახში, სადაც ბევრი ანემონია,
და ჩემი თეთრი ცხენი - მელა დგას, ჩამოვდივარ,
და დაღლილს ვუშვებ საბალახოდ რემასთან ერთად,
მერე მის სუნს ვგრძნობ სახლში, როცა ვიძრობ ხელთაომანს,
გაუღენთილს ჩემგან გაქაფული თეთრონის ლვართქლით,
სურნელი რომ აქვს გარეული ქონდრის თუ ურცის
და მე ამაში სიცოცხლისას არაფერს ვხედავ.

ასე როგორდა ვცხოვრობთ მაინც? სუყველაფერი
ისეა, თითქოს არც კი იყოს სინამდვილეში.
რა გვრჩება, გარდა მიტოვებულ დროის გასვლისა?! -
სულ არაფერი... ყველაფერი არაფერია,
არაფერივით ჩანს ამქვეყნად სუყველაფერი:
წყალი და ქარი... და ქარივით ჯირითი ქარში,
და ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა და წოლა დამით,
შემოღამება, შებინდება და მზე თავადვე -
დიდი ჩაქრობა დიდი შუქის - არაფერია,
არაფერია სიტყვებიც და ფიქრიც ასევე.
არაფერია ყველაფერი, შესაძლო არი
იქობამდეც კი, მიგვიწვდება თვალი სადამდეც.
ჩვენი სიცოცხლე სამყაროდან შეწოვილია,

შეწოვილია ყველა ზიდან, მთიდან, ძაღლიდან,
აურაცხელი არსებიდან და ნივთებიდან,
ვითარცა წყალი საიდუმლოდ გათხრილი ჭიდან.

და ყველაფერი სულ ერთია. და წიგნს გიგზავნი,
წიგნს, ისე წითელს, როგორც არის აურაცხელი
ყაყაჩი მრავალ მწვანე ველზე. მათი სიწითლე,
მათი სიცოცხლეც ჩემთვის ახლა არაფერია
და დელვაც მწვანე ველებისა მწუხრის სიოში -
არაფერია - რა ატყვიათ მათ სიცოცხლისა?!
წიგნში კი არის! - აქ სიცოცხლე უთუოდ არის,
მაღელვებს... ერთი არსებიდან მყის გადახტება
მეორეში და ყველაფერში არის და შფოთავს,
ერთს მეორისკენ ექაჩება, თავის თავს ეძებს
და ენატრება საკუთარი თავი ყოველთვის,
და საკუთარი თავით ტკბება, ჩახვეულია
ერთ-ერთ სულჩადგმულ ფიგურაში კრძალვით. ო, ღმერთო!
და ფარშევანგიც გაძარცული არის იმგეარად,
ზმანებებსა და ნარგიზებში, ისე სასტიკად
და ტკბილად არის განძარცული! თოჯინებშიაც!
არ შეიძლება ასე იყოს? სულ ერთი არის,
თუ რამდენი და როგორია! სულ ერთი არის!

ზოგი მაინც...

ცხადია, ზოგი მაინც ქვემოთ უნდა აღსრულდეს,
სადაც ნიჩბები გემებისა ზღვას მისერავენ,
სხვები ცხოვრობენ მაღლა, გემის საჭესთან ახლოს,
გრძნობენ ფრინველთა ფრენასა და ვარსკვლავთა ქვეყნებს.

წევს სამუდამოდ ზოგიერთი, მძიმე ხელ-ფეხით,
არევ-დარეულ წუთისოფლის გაშლილ ფესვებთან,
ხოლო სხვებისთვის სავარძლები გამზადებულა -
სიბილებთან და დედოფლებთან სხედან ისინი,
იქ არიან და თითქოს იყვნენ საკუთარ სახლში,
აუტკივარი თავითა და მსუბუქ ხელებით...

მაგრამ ეცემა დიდი ჩრდილი იმ ცხოვრებისა
სხვა ცხოვრებებზე განუწყვეტლივ, დაუსრულებლად
და მსუბუქები მძიმებზე ისე მიბმულა,
როგორც მიბმული დღემდე არის ზეცა მიწაზე.

მთლად მივიწყებულ, გველ ერების დაღლილობანი
არ შემიძლია მოვაცილო ჩემ ქუთუთოებს,
ისევე, როგორც - შორს დაჭერა დამფრთხალ სულისგან
უუშორესი ვარსკვლავების მდუმარე ცვენის...

ჭკვიანი ეშმა, ჩემთან ერთად, მრავალი დაქრის,
მათ ერთმანეთში ათამაშებთ წუთისოფელი
და ჩემი წილი აქ მეტია, ვიდრე ცხოვრების
გამოძერწილი ალი, ანდა - ვიწრო ბილიკი...

კეთილი დრო

ვწევარ და მეჩვენება, თითქოს, ვიყო მწვერვალი,
არც სახლი მაქვს, არც – კარი, ვერც მომწვდება ვერავინ!

გარს რომ მეკვრის, გზებია, გზები კაცთა მავანთა,
ზღვისკენ დაშურებულთა, მთიანი გზით მავალთა.

თავისი გზით იჩქარის, მოხუცი თუ ყმაწვილი...
რა იციან, რომ მიაქვთ ჩემი სულის ნაწილი:

ხილი – უბით, კალათით, – მე მეკუთვნის, ჩემია,
რა ხანია, შევცქერი და ჯერ არ მიგემია.

თურმე, ისევ არსებობს, ფეთქავს და არ მასვენებს –
მხარეს გადავიწყებულს ლელვის გემო მახსენებს.

თუ სიცოცხლე წამერთვა ფურცელგადაუშლელად,
ზღვა და მიწის წიაღი შეინახავს უცვლელად.

ჭაბუქი სანახში

მებალებმა ყვავილნარში გამარგლეს კვლები
და ბლომად იყვნენ იქ გარშემო, იმ მიღამოში,
ყავარჯნიანი მათხოვრები, შებურვილები
შავი ძონძებით, თუმც ქნარებიც ჰქონდათ და ახლად
გაშლილ ყვავილთა უმწვავესი სურნელიც ახლდათ.

შიშველ ხეებში ყველაფერი მკაფიოდ ჩანდა,
უცქერდა ხალხი მდინარეს და ბაზარს და მრავალ
ბავშვის თამაშს და ონავრობას ტბორების გასწვრივ,
ის კი ლანდშაფტში მიღიოდა წინ, ნება-ნება,
და ძალას გრძნობდა ლანდშაფტისას და კიდევ გრძნობდა
ბედისწერათა სამყაროულ, იღუმალ ლტოლვას.

იმ უცნობ ბაგშვებს მიელტვოდა; უხმობდნენ, თითქოს,
იმ ბაგშვებისკენ; და მზად იყო, რომ უცნობ ზღურბლთან
ხსოვნაში გაეტარებინა, როგორმე, აზრი
ახალ სიცოცხლის. არც ახსოვდა, წრფელსა და სუფთას,
თავის სულისთვის და გამოვლილ გზისა და სითბოს
მონატრულ სულთა ხსოვნისთვის რომ მიეგო უნდა
პატივი ასწილ, ვიდრე - რამე საკუთრებისთვის.

მხოლოდ ყვავილთა სურნელება ართმევდა დიდ დროს
სილამაზეზე საუბარში და ძალზე მშვიდად
ჩაისუნთქავდა სუფთა ჰაერს, დაქროლილს ციდან,
და ახარებდა, მსახურების რომ ჰქონდა ნება...

შენი სახება...

შენი სახება ოცნებებით დახუნდლულიყო.
დადუმებული შევყურებდი, მთრთოლვარე გრძნობით.
ჰოი, ის რარიგ მაღლდებოდა, ოდესლაც, როცა
გულით მივენდე მე ადრიან ღამეთა შობილ

მთვარეს და ეგზომ საყვარელ და მშვენიერ დაბლობს,
სადაც, ტანთგანბრცვილ ფერდობებზე, ძლივს ირჩეოდნენ
ტოტები ერთურთს დაშორებულ, ჩამომხმარ ზეთა,
რომელთა შორის მიათრევდნენ ღრუბლები ნაღველს!

და სიჩუმეში სულ უფრორე ახალ და ნეტარ,
ვერცხლივით თეთრ და ქათქათა წყალს მიაქშუებდა
მდინარე – რარიგ მაღლდებოდა სახება შენი!

ჰოი, რარიგად მაღლდებოდა! რადგან რაც ვნახე,
იმ ყველაფერს და მათ მშვენებას, გაჩენილს ბერწად,
დავემორჩილე და მივენდე ოცნებით დიდით,
როგორც დღეს შენი თმების ხილვას და დარდის მლეწავ
შენს ქუთუთოთა შორის ელვას ვეძლევი რიდით...

ერთ ქალს

ყოველ საგანთა ჭეშმარიტი ნაყოფი რჩება
და, ვით თუთიის შუქი, მაღალ ჰაერში ჰყვავის,
სხვა გასაქრობად ჩნდება ყველა, თეორიც და შავიც.

და ამას იტანს ჩვენი სული იდუმალ სახით,
რომ დაისვენოს მარტოოდენ იმაზე მუდამ,
რაც სხლტება, როგორც ზღვის ფრინველი, კარგად თუ ცუდად.

პოი, რარიგად გადავყავდით ჩვენ შეცვლილ თვალთა
არეულ ბუტბუტს უკაცრიელ რიფების ქიმზე
და – მეტისმეტად მეტყველ ტუჩებს! დღეს არსად გიმზერ.

როგორ უნდოდათ ემსახურათ მრავალ ღმერთისთვის!
შერწყმული ჩრდილი ფარფატებდა აქ ძალზე ბლომად
და მივაღწიეთ ერთურთს, გვსურდა ერთურთის წვდომა,

ვით თეთრ ყურეში მშვენიერი სურათი აღწევს
მას, ვინც იხრჩობა, რასაც იგი კი აღარ იტანს,
არამედ უკვე სბულს ის, როგორც ლარიბი მდიდარს.

ეს ყველაფერი გასაქრობად იყო აქ შხოლოდ,
სხვა ძალები კი ბინადრობენ, ცხოვრობენ ჯერაც,
ჩვენი ცეკვების ნაოჭებში, ფერად და ბერად.

ქუთუთოები თვალთა ჩვენთა – მსგავსი არაა
ნაყოფთა ხორცის, და ჯეელთა მზერები მყარი
ჯერაც არაა ბატქანთა და დელფინთა დარი.

და რჩება მხოლოდ მოსავალი ყოველი საგნის.
ასე გიპოვე ურიფებო, უსაფრთხო ბაღთან,
დიდი სიცოცხლე შენს ბაგებს მეგზურად ახლდა,

რადგან შეგეძლო შენ დაქალის მშვენიერ თმაზე
ისე მეფურად გესაუბრა, როგორც მას, ვისაც
ძალუძს გაიგოს – რას გულისხმობს სიცოცხლის ვიზა.

და მე შენს მიღმა ვნახე, როგორ სერავდნენ დაბლობს,
ოქროს და ვერცხლის რუებივით, მხურვალე ვნებით,
შენი ლამაზი სიძდაბლის და სისუსტის გზები.

ბიჭი

I

რა ხანია, აღარ სწყალობს ნიუარებს,
ერთ სამყაროს ეკუთვნიან რადგან,
ვარდთა ცქერით სუნთქვას არ აიჩქარებს,
მკაცრი მზერით ნუსხავს ყოველ მათგანს.

თუმც, ყველა დღით მხნე იყო და ჯანმრთელი,
როგორც არფად გადაშლილი ველი,
ერთდროულად ყმაც იყო და მმართველიც,
არ აკრთობდა არჩევანი ძნელი.

ჰგავდა ცოდვილს, რომ დაეცა ანაზდად,
ბრუნდებოდა სახლში რწევა-რწევით,
დარიგებას გაურბოდა მრავალს და
მისი სული ისწრაფვოდა ზევით.

II

ვიდრე ბედთან ბრძოლით იყო გართული,
სულ სწყუროდა და მწარე წყალს სკამდა,
ნაპირს ჭვრეტდა, უცხოდ წამომართული,
მსუბუქი და ცარიელი ჩანდა.

მოგორავდნენ ნიუარების ჩქერები,
სუმბულები უელავდა ომაში
და ესმოდა ფასი მშვენიერების,
სულს ნუგეში უმშვენებდა მაშინ.

მაინც შედგა ის მისნური შეხვედრა:
მოიცილა ყვავილები თეთრი,
ამ მშვენიერ დილეგისთვის შეხედვამ
საკუთარი დაანახა ხვედრი.

წარწერა

ნუ გაკრთობს მზერა სააქაოსი,
თუმც, ნავი შიშის ტალღებს მიაპობს...
სიცოცხლე თავის არსზე გიამბობს,
როცა სიცოცხლეს დანთქავს ქაოსი.

NOX PORTENTIS GRAVIDA*

დათამაშობენ მაღალ ხეებს შორის ნისლები
და ულამაზეს ვარსკვლავთაგან სამი მახლობლად
კაშკაშებს, ხოლო სუმბულები ბნელ ცისქვეშეთში
ჩაფიქრებულნი იხსენებენ, რომ აյ მოხდება
ის, რაც დღევანდელ დღემდე ერთობ ხშირად მომზდარა
და კიდევ – მას, რომ ჰერმესი და დიოსკურები
ანცობით მკრთომარ და ქარისგან აწ გატაცებულ
გრაციების კვალს გარს ერტყმიან გალავანივით
და თამაშით და ნადირობით, შეუბრალებლად,
მათ ხეებიდან აქშევენ და დევნიან, ხოლო
ტალღებს დილამდე მდინარისკენ ერეკებიან.

პოეტს კი, სადღაც, სხვა ადგილას აქვს გზა თავისი
და ის მედუზის თვალებითაც თვალნათლივ ხედავს
თავის გარშემო მდებარე და მკრთომარ მინდორ-ველს,
რასაც მზერიდან მყის იშორებს და არც კი იცის,
თუ როგორია, და მიათვლის იმგვარ მხარეებს,
სადაც ბავშვივით შეცვლილ მის სულს გაურკვეველი
დროის და უამის გააჩნია ყოფიერება
არწივთა საფრენ ჰაერში და დამჭკნარ, დაჭმუჭნილ
დუმილში, სადაც მიწიერი საგნების ჩრდილებს
და მოჩვენებებს და ძვირფას ქვებს მიუყრის ამ სულს.

ხოლო მესამე ნაწილს ცისას, მთლად სიკვდილივით
იპყრობს, იკავებს იმდაგვარი შავი ღრუბელი,
რანაირიც იმ მოკვდავის სულს დაესხმება თავს,
ვინც დამით ცდილობს გზის გაკვლევას ერთი სანთელით,

* ავტორითი წინათგრძნობით აღსავსე ღამე (ლათ.)

ღრუბელი, რაიც გაემართა მეორე დილას
ურიცხვი ავდრის მეხთატეხით და ახლომყოფელ
მზეთა შუქივით უძლიერეს ცისფერ ნათებით
და ცხელი ქვების შემზარავი გასროლით, რათა
კუნძულსაც თავზე დასტყდომოდა, სადაც ცახცახი –
რომ აყვავებდა ნეტარებას გამაოგნებელს
და ტირილს ჩახშულს და ჩახერგილს ვეება შიშით –
გამოსასყიდი იყო მისი: მწუხარ ბაღებში
თავიანთ თავს რომ ვერ ხედავდნენ და სიცოცხლისთვის
ვერ პოულობდნენ და კვდებოდნენ მთვრალები, ხსნა კი
არ უძებნიათ და უფალი ჰაერისა და
მიწის ბორკილებს რომ დაუსხლტა და დაობლებულ
ბავშვებივით რომ გიზგიზებდნენ წინასწარმშედნი
და ყველა სული რომ აყვავდა ვარსკვლავებივით.

უსასრულო დრო

ნუთუ ნეტარი დროც არ გახსოვს, ისე სუსტად ხარ?
ბინდშეპარულ ველს წამოადგნენ თავს ვარსკვლავები,
ჩვენ, ჩრდილში მდგარნი, ვცახცახებდით. ვეება თელა,
თითქოს სიზმარში შეირხაო და ბალაზებში
ხმაურიანი წვეთებისა სტყორცნა ხანმოკლე
თქეში, რის შემდეგ არ გასულა საათიც, მე კი
ის დრო მეჩვენა უბოლოოდ, რაკიღა ვინაც
განიცდის, მისთვის იწელება სიცოცხლე უხმოდ,
თანაც უძირო უფსკრულები ეხსნება სიზმრის
ორ მზერას... და მე ჩემში შევისრუტავდი
მაგ შენს ოცწლიან არსებობას – ასე მეგონა
მანამდე, ვიდრე აკავებდა ხე თავის წვეთებს.

ორივენი

ქალს სავსე თასი მიჰქონდა მსუბუქი ზელით
და პირი თასის პირივით ჰქონდა ნაზი და
მისი სვლა იყო ისეთი ფრთხილი და ნელი,
რომ წვეთიც კი არ დაღვრილა სითხე თასიდან.

ხოლო კაცს ჰქონდა ძალიან ძლიერი ზელი,
იჯდა ჯერ კიდევ სრულიად მოზარდ ცხენზე და,
ტარება როგორც უნდოდა, ისე შესწევდა,
არც გაჩერება უჩანდა ცხენისა ძნელი.

და მაინც, როცა იმ ქალმა მსუბუქი ზელით
მოართვა თასი, ვერ შეძლო მისი აღება...
ორთავესათვის ეს მძიმე აღმოჩნდა საქმე:
კაცი იძვროდა, არც ქალი იძვროდა ნაკლებ
და მოედრიკათ ზელები გრძნობის თაღებად
და ძირს დაიქცა ის ღვინო – სიამის მგვრელი...

პოეტთა საუბარი

არც მაშინ, როცა მზე მოგზაურობს,
არც მაშინ, დამე ძალას რომ იკრებს,
არა თუ ბავშვებს – ლალებს და ანცებს,
არ გამოვუტყდეთ ჩვენსავე ფიქრებს,

თუ ამ სიცოცხლეს როგორ წავგლიჯეთ
სუნთქვა, ნაჟური სიზმრის მტევანთა,
და მერე ბაღში, როგორც აკიდო,
როგორ დავკიდეთ მზის შადრევანთან.

ბავშვისაღმი

გაგეზრდება ვარდისფერი ფეხები
და საძებნად წახვალ მზიან მხარეთა,
იქ ყრუ კედელს არასდროს შეეხლები!
გაგეზრდება ვარდისფერი ფეხები.
გელოდება მზე – შლეგი და მცხუნვარე,
აორთქლებულ ასწლეულთა ჰაერი
კენწეროებს შერჩენია მდუმარედ.
გელოდება მზე – შლეგი და მცხუნვარე.
გადაივლის უამი – დღეთა მჟღეტელი,
მაგრამ თურმე, ნაპირებს აწყდებიან,
ბობოქრობენ ზღვები დაუშრეტელი.
გადაივლის უამი – დღეთა მჟღეტელი.
თქვი, არ გინდა ტყის ნაპირას იარო,
წამით დათმო ხის რძით სავსე ფიალა
და გომბეშოს საზრდო გაუზიარო?
თქვი, არ გინდა, ტყის ნაპირას იარო?
ან რას იტყვი, ოცნება რომ აგიხდეს:
ერთად გახშმობთ, ტყეს აყრუებთ სიცილით
და ვარსკვლავიც, ლამის, ჯამში ჩაგიხტეს,
თქვი, რას იტყვი, ოცნება რომ აგიხდეს?
მიადგები მარადი ზღვის ნაპირებს
და დელფინსაც უცებ დაიმეგობრებ,
შენთან ერთად თამაშს რომ დააპირებს,
მიადგები მარადი ზღვის ნაპირებს.
ახლა უკვე ვერსად დაემალები,
მაგრამ ერთხელ ზღვას რომ ჩაჰყვეს წიაღში,
ცრემლს უმალვე შეგიშრობენ ქარები,
ახლა უკვე ვერსად დაემალები.
შორ მხარეებს ადგათ მზის შარავანდი –
იქ დრო ისევ ძველია და მარადი.
იდუმალად, მზე – შინა და გარეთა –
შენს ვარდისფერ ფეხებს ფორმას ანიჭებს,
რომ მნახველი გახდე მარად მხარეთა.

შსახიობ მიტერვურცერის გასახსენებლად

ჩაქრა ერთბაშად, ერთიანად, როგორც სინათლე
ქრება. და ჩვენი სიფერმკრთალე განა გადივლის –
ყველას სახეზე გვეკრა ელვის ათინათივით...

დაეცა ის და გადაქანდა ყველა თოჯინა,
რომლის სხეულშიც სისხლი ჰქონდა მას გადასხმული,
გადაქანდნენ და დაეცნენ და დაიხოცნენ და
მათი გვამები მის ცხედართან გროვად ეყარა.
ხელმწიფეს ვიღაც უპატრონოდ გაშენდართულ ლოთის
მუხლი შიგ თვალში ჩარჭობოდა, და დონ ფილიპი,
ვინც კალიბანთან ერთად აწვა მას მაჯლაჯუნად,
ეს ორივე მკვდარია ახლა.

მაშინ ყოველმა ჩვენთაგანმა კარგად უწყოდა,
თუ ვინ მოგვიკვდა: ჯადოქარი და ოინბაზი
უდიდესი და სახლებიდან გამოვდიოდით
და თუ ვინ იყო ის, იმაზე ვლაპარაკობდით,
მაგრამ ვინ იყო, ანდა ვინ არ იყო, ნეტავი?!?

ჭუპრის პარკიდან ჭუპრის პარკში გადაძვრებოდა,
ხტებოდა მამის სხეულიდან შვილის სხეულში
ანუ იცვლიდა, ვით სამოსელს, ფორმას და სახეს.

დანებით, რომელთ ისე სწრაფად ატრიალებდა,
რომ მათი პირის გაელვებას ვერვინ ხედავდა,
თავისავე თავს ასო-ასო ქნიდა და მის ერთ
ნაწილს იაგო ყოფილიყო შეეძლო, სხვას კი –
საყვარელი ან მეოცნებე, და მთელი მისი

სხეული ჰგავდა გრძნეულის თუ მისნის მოსასხამს,
რომლის ნაოჭნი ყველა საგნის ბინა ხდებოდა.
თავის თავიდან ამოპყავდა მას ცხოველები:
ცხვარი და ლომი და სულელი ეშმაკუნა და
უსაზიზღრესი ეშმაკუნა, ესეც და ისიც
და შენც, იქვე - მეც... მთელი ტანი უცახცახებდა
და შინაგანი ბედისწერა მას აღვივებდა
უფრო და უფრო, ვით ნაკვერჩხალს, ის შიგ ცხოვრობდა
და შევყურებდით ჩვენ, ვინც ჩვენ-ჩვენ ჭერქვეშ ვცხოვრობდით,
ის გვიცეროდა გაუმტარი, უცნობი მზერით,
იმ უცხო მზერით, სალამანდრის ცეცხლში რომ ცხოვრობს.
იგი ველური მეფე იყო და წელზე ჭრელი
ნიუარებივით შემოერტყა ყოველ ჩვენგანის
ტყუილ-ძართალი. მის თვალებში გადაიფრენდნენ,
ხანდახან, ჩვენი ნასიზმრალ-და-ნაოცნებარნი
იმგვარად, როგორც გადაუფრენს ულრმეს წყალს ხოლმე
ტყიურ ფრინველთა ჭრელ გუნდების ანარეკლები.

აი, აქ სწორედ, ამ ადგილას გამოდიოდა,
სადაც მე ვდგავარ ახლა, პოდა, როგორც ტრიტონის
ბუქშია ხოლმე ზღვის ხმაური დატყვევებული,
მოქცეულიყო მასში ისე ხმა სიცოცხლისა,
ის გაიზარდა, გადიდდა და მთელი ტყე გახდა,
ის გრძელი გზებით დასერილი ხმელეთი გახდა,
ჩვენ კი ვისხედით და ვუცემერდით ბავშვის თვალებით
და ვისხედით და ვუყურებდით, როგორც დიდი მთის
ფერდობებს ვავლებთ ხოლმე მზერას: მისი პირი ხომ
ზღვის ფსკერი იყო, რომელშიც ზღვა დაბობოქრობდა!

რამეთუ იყო მასში რაღაც, რაც კარს უამრავს
შეაღებდა და მრავალ სივრცეს გადაუფრენდა:
სიცოცხლის ძალა, ო, ეს იყო სწორედაც მასში,

მიტომაც მასზე ბატონობა მოუნდა სიკვდილს.
და შეუბერა სული მას და ჩაუქრო თვალნი,
მათი ღრმა არსნი დაეფარა იღუმალ ნიშნებს
და მას ხორხშივე მოუგუდა ათასობით ხმა
და მოაკვდინა მისი ხორცი, რომელიც ყველგან
ჯერ არგაჩნილ არსებობით დახუნძლულიყო.

აქ იდგა იგი. და მისდარი როდისმე მოვა?
განა კვლავ მოვა მსგავსი სული, მკერდის ლაბირინთს
გარევეულ ფორმა-სახეებით რომ დაგვისახლებს
და კვლავ გაგვაღებს თავზარდამცემ სიამეთათვის?
ჩვენ ვერ შევძელით გაჩერება იმისა, რასაც
ის გვანიჭებდა და, ჰა, მისი სახელის თქმისას
ჩაგშტერებივართ უფსკრულს, რამაც ის ჩაგვიყლაპა.

უწყება

მე გავიფიქრე, რომ ლამაზი დღეები მხოლოდ
იმ დღეებს უნდა ერქვას, როცა მობაასენი
გადავაქცევდით ოვალწინ ლანდშაფტს სულის სამეფოდ:
როცა გორაკზე მივდიოდით ჭალის ჩრდილისკენ,
რომელიც ირგვლივ გვეხვეოდა, როგორც ოდესლაც
განცდილი რამე, როს გამიჯნულ მინდვრებზე ჩუმად
წარმოუდგენელ არსებათა სიცოცხლის სიზმარს,
მათი რონინის და წყალის სმის კვალს ვპოულობდით
და საუბარი, მოსრიალე ტბის ზედაპირზე,
ცის კამარაზე ღრმა კამარას აირეკლავდა:
მთელი არსებით ჩავუფიქრდი მე ასეთ დღეებს,
ამის შემდეგ კი სამ რაღაცას: იყო ჯანმრთელი
და გაიხარო სხეულით და სიცოცხლით შენით
და გაიხარო ფიქრებით და მართვეთა ფრთებით;
მხოლოდ ერთს მოაქვს სარგებელი: ტოლებთან ლხენას,
ამიტომ მინდა მოხვიდე და ჩემთან დალიო
იმ თასებიდან, რანიც ჩემსას წარმოადგენენ
მექვიდრეობას, რომ შეკრულან მხოლოდ ფოთლების
ორნამენტებით და ფრთაშესხმულ ლაღი ბავშვებით,
და ჩემთან ერთად ბაღის კოშკში დაჯდე, რომლის კარს
ორი ჭაბუკი უდარაჯებს, ვის თავებშიაც,
დაბინდულ მზერით, სანახევროდ შებრუნებული,
გასაოცარი ბედისწერა შენ შემოგცერის
გაქვავებული, რომ დადუძდე და დაინახო
ჩემი სანახი, იქნებ მერე მან ჩემი ლექსი
კეთილშობილქმნას სამომავლო მარტოობაში
და იქნებ სადმე შენმა ხსოვნამ რომელდაც ჩრდილში
დაბინდულის და მზის ჩასვლისას ქუჩა დაბინდულ
კენწეროთ შორის წაიგრაგნოს, ხოლო უჩრდილო
გზებმა ჰაერში, იდუმალი და შორეული,
მოოქროვილი ქუჩილივით ჩაიგრიალონ!

ერთ გზას ვაღექით

ერთ გზას ვაღექით, ხიდისკენაც ერთ გზას მივყევით,
წინ სამი კაცი მიგვიძლოდა სიმღერ-სიმღერით.
ახლა შენს ნათქვამს მოგონების ფურცლებად გავშლი –
მაშ, მომისმინე, გაიხსენე, რაც მოხდა მაშინ:
შენ თითს იშვერდი ღრუბლის ჩრდილით დაფარულ მთისკენ
და სახიფათობილიკიან ციცაბო კლდისკენ.
ნატრობდი: იქ რომ მარტოდმარტო ვიყოთო ახლა!
მეც უნებლიერ ავიხედე მთებისკენ, მაღლა,
შენი სიტყვები მეუცხოვა მაშინ იმდენად,
თითქოს, საკმევლის სურნელებით ცა დაიტენა,
ლოყებზე უცებ შეგეცვალა რატომლაც ფერი,
მთვრალმა წადილმა მყისიერად დამრია ხელი,
ისე, მიწა რომ შეიძვრება ზარით, ზრიალით,
ჭურჭელი ძირს რომ დაცვივდება ბზრიალ-ბზრიალით,
მიწიდან წყალი რომ ამოხეთქს წამლეკავ ჩქერად,
მავანს უცებ რომ უორდება დამფრთხალი მზერა...
მე ერთდროულად შენიც ვიყავ და და ვიყავ ღვთისაც,
შენი სურვილი შეერთვოდა სიხარულს მთისას,
თავს არწივი რომ დასტრიალებს, ფრთეებგაშლილი...
მე შენს მკლავებში ჩახვეული ვიდექ ბავშვივით.
ვგრძნობდი სიმაღლეს, მთის შემყურე, სულიც რომ ითხოვს
და ფეხშეუდგამ ბილიკისა მესმოდა, თითქოს,
შეკრული ვიყავ სიყვარულის ცხელი ბორკილით
და ვნეტარებდი სიამისგან, შენგან მოგვრილით.
დღეს, აგარაკზე, გრილ კედელს რომ შევახე სახე,
ამ სიხარულით მოფარფატე ღმერთები ვნახე.
თითქოს, სიმძიმე ეღვრებოდათ მზრიდან, მკლავიდან,
ვაზის ფოთლების სიფრიფანა სახურავიდან.

ღმერთები, წონადაკარგულნი, განა ქრებოდნენ,
მიფრინავდნენ და ლაჟვარდებით იფარებოდნენ,
ცეცხლის აღს ჰგავდნენ, არ იძვროდა ჰაერი ქარით,
ჟღერდა სიმღერა, წერიალებდა საამოდ ქნარი,
მევონა, როცა ვუყურებდი ამ სურათს, ამოს,
უფლება მქონდა, შევხებოდი ღმერთების სამოსს.
ო, ისე ახლოს მოსულიყვნენ, მესხმოდა რეტი,
ასე მეგონა, დამყოლოდა მათივე ბედი,
თითქოს, მეც ღმერთებს ვეპუთვნოდი, ვჭვრეტდი აღსავალს,
რადგან საკუთარს ვიხსენებდი თავგადასავალს.

ჭაბუქი და ობობა

ჭაბუქი

სულ უფრო მზარდი მთვრალეულობით, თავისთვის მოლაპარაკე.

მე მას ვუყვარვარ! და სამყაროს ვფლობ რარიგ ახლა,
რაცა დგას ყველა სიტყვაზე და ნატვრაზე მაღლა,
რომ ყველა ბნელი მწვერვალიდან, ყოველმა სივრცემ,
შუქით ყოველმხრივ მოსილმა და ღრუბელმა ჩემმა,
მე მიმიზიდოს, მიცემული არნახულ სიზმრებს
და ხელი მას რომ არ გავუშვა, მივყავარ სტუმრად
ასე, მშვენიერ ცხოვრებასთან, მიწასთან, ზღვასთან,
თუმც, არა! დილის სიზმრად სწყდება საფეთქლებს მკაცრად
და ფერმკრთალდება სიცხადეში. ახლალა ვნახე
ჭეშმარიტება: მე აქ, როგორც სტუმარი, როდი
დავბორიალობ. დემონური მზერით და სახით
მბრძანებლად შემქმნა ბედისწერის შემთხვევაშ ოდით...
ყმაწვილებია ისინი და არ ჰგვანან დამჯერთ,
სოლიდურობაც, თამაშებიც ისწავლეს ჩემგან.
ზოგიერთ მათგანს ჩემს იერს და ჩვევებსაც ვამჩნევ,
გული იდუმლად მიჩუდება, როდესაც ვხედავ
მოსავალს როგორ იმკიან და ნაპირთან, ბორცვთან
შევიგრძნობ უცხო და შორეულ სიზმარში ცხადით,
როგორ მეტსნება შინაგანი მჭვრეტელი ლოცვად,
რომელსაც მუდამ ასახავენ საქმენი მათი!
ავყურებ ზეცას, ირეკლავენ სწორედ იქ ღრუბლის
სამფლობელონი მას, ნანატრი რაც მეძღვნა დღემდის
და მირეკლავენ ერთიანად უფრო და უფრო,
არადა, მე აქ უდიდესი სიცოცხლე მეკვრის
და ვარსკვლავების უდიადეს, ბრწყინვალე შუქთან

ერთად სიმთვრალე მერევა და ყველაფერს ვაქებ
და მთვრალმა ხელი რომელს ვსტაცო მომავალს – მუქთად?
თუმცა ის ქალი-მომავალი მოელავს აქეთ
და შეიძლება ხელითაც კი შევეხო, რადგან
ვარსკვლავებისკენ მიიღობგის, რაც მომხდარა დღემდე,
და სხვა ნაკადი უფრო ზევით მიმავალს ადგას
გზას და იქითკენ მიაქანებს, რაც დღეის შემდეგ
მოხდება, რაკი დედამიწა, უხილავ კარით,
იძულებული, ზევით უშვებს, რაც ირგვლივ არი...

ამ სიტყვებით მიდის ჭაბუკი მთვარის შუქით განათებულ და ველური
კაზის ფოთლებით მივარაყებულ ღია სარკმელთან, სადაც, მის თვალებს
ზემოთ და ერთი ფოთლის ქვემოთ, პატარა ჩრდილში, ღიდი ობობა
მოცოცავს და ციცქა არსებებს თავის საცეცებში აქცევს. ღამის
სიჩუმეში გაისმება ისე უზომოლ ჩუმი და საწყალი ხმა, გევონება,
მთელი ძალით საღტეშემოჭერილი კიდურების მსხვრევა არისო.

ჭაბუკი

იძულებულია უკან დაიხიოს.

როგორი შიში სუფევს აქ და როგორი ჭირი!
იძულებული გახდა სისხლი – გაბრუნდეს უკან,
რაკი შენ აქ ხარ, სიკვდილო, და მაგ შენი პირით
ყველას და ყოველს აწიოკებ შიშით და ღუპავ.
მიჩუმდა ღიდი სიახლოვე ოცნების ღიდის,
როგორც გუგუნი ჩანჩქერისა, რომელიც მანამ
მოგესმის, ვიდრე ახლოსა ხარ, და ისე მიდის
შენგან ის, როგორც შორდები მას ნელ-ნელა, თანაც
ცარიელდება შორეთი და – სამყარო, სავსე

წინათგრძნობებით, თავად ფლობს თავს, ხოლო მე ვწვალობ.
ამ საზარ სურათს ვერ ვაფერხებ ჩემს უძლურ თავზე,
როგორც ვარსკვლავთა მშვენიერ სვლას, ძვირფასო ქალო!
აი, ჩემს თვალწინ ძალას სინჯავს რაღაცა ძალა,
მტკინეულად და ღრმად იჭრება გულში და სუფევს,
ყოვნდება ყოველ ბოჭკოსთან და განზრახვას მალაქს,
არ შემიძლია მას გავექცე, არც მინდა უკვე,
თითქოს ისაა სამშობლოსკენ მავალი გზები,
წინ მიმაქანებს მთელი ჩემი არსით და გონით,
მიუწვდომლისკენ, და მე უკვე განვიცდი, ვტკბები
მომავალ ტკბობით, არსაიდან რომ არის მგონი,
და იმ წინასწარ განცხრომაში მე იმას ვიძი,
რომ ვასაჩუქრებ თავს ტკივილით, დარდით, ნაღველით,
აი, ურუანტელს მგვრის რაღაც და მევლება ირგვლივ,
ცამდე კოშკივით აღმართული... და უკვე მივხვდი,
უკვე გავიგე: სიცოცხლეა მისი სახელი.

მგზავრული

ღვარი მოსკდება, რომ ჩაგვნთქას ყველა,
კლდის მეწყერს უნდა გატანა ჩვენი,
მოფრინდნენ, უკვე ახლოა შველა,
ჩვენს წასაყვანად ფრთოსნები მძლენი.

ქვემოთ სანახებს ვიგულვებ მხარის,
სად აურაცხელს ირეკლავს ნაყოფს
უჟამო ტბების ლურჯი ციონი.

კიდე ჭისა და შუბლი მარმარის
იქ ყვავილოვან მდელოებს ამკობს,
და უბერავენ ამო სიონი.

სამხრეთული მთვარიანი ღამე

ორმაგ ლხინისთვის იშობიან ორმაგი დღენი?

ერთის წასვლამდე მეორე დღე ამოიწვერა!

ძვირფას საცხებსა და ბრწყინვაში, ნახევარლმერთებრ გულმავიწყი რამ ბალებსა და ტბორებს მომირთავს

გამაოგნებელ ბრწყინვალებით და მისანდობი

ხე უცხო ხდება, შადრევანიც უცხოდ ელვარებს,

იჭრება ჩემში ძალა ბნელი და გარეგანი.

ეს ბუჩქებია ჭრელ ფიქრების შემფარებელი?

ხის მერხს ვერა ვცნობ! ნუთუ, ის აქ დაყუდებულა?

სწორედ ისაა, რადგან ციცქა ობობას ქსელზე

მნათი წერტილი კვლავ ჰკიდია! ნუთუ, ვბრუნდები?

შენი ბარათი რომ მივიღე — კონვერტი ისე

ჩქარა გავხსენ, რომ ნაფლეთები მოსწყდნენ კიდეებს

და მწყურვალ ტუჩებს მიეშეფნენ მოფარფატენი,

როგორც შხეფები შადრევანთან წყურვილის მომკვლელს!

ახლა ის ჩემკენ მოიწევს და მოცურავს — ხელით

ამოიწევა სიბნელიდან და ჯადომოხსნილ

კაცივთ ვსუნთქავ ახლა, და ჰა, უკვე ნაძღვილად

მოვჯადოვდი და გახევებულ ღამის წიაღში

ბედნიერების გასაღები მიჭირავს ხელში!

სამი პატარა სიმღერა

I

სახლს რომ გარს ჰანგი უვლიდა შიშით,
შენ ის შიგნიდან გესმოდა მტირალს...
ლამე დამბიმდა სიბნელის ქვიშით,
ხოლო მე, თითქოს, იმ ქვაზე ვიშვი,
რომელზეც მჯდარი ვუკრავდი ლირას.

რისი თქმაც მსურდა, ამოვთქვი კიდეც:
„ჩემო ძვირფასო, უშენოდ რა ვარ?!“
მზემ მიმოქარგა მაშრიყის კიდე,
დღე შინ მიმდენის და ცოდვას იდებს,
რომ ამ ბაგეებს მიკეტავს კვლავაც.

II

სიმწვანეში ამღერება

ცამ სიქუფრით და სიმბიმით გვთენთა,
მანამდე, ვიდრე ვიყავით კენტად,
მაგრამ დღეს საქმე სხვაგვარად მიდის,
რადგან, ძვირფასო, ვარ ისევ შენთან,
ირგვლივ ქრის სიო, შუაში ნეტარ
ბრწყინავს სამყარო – ყველაზე დიდი
გროვა ღმერთისგან ბოძებულ ძღვენთა.

ყველა ვარსკვლავი ძლვნად სხივებს გვაძლევს –

დასციმციმებენ ჩვენს ნაკოცნ ღაწვებს
და მოაწონონ – კი ძალუდთ თავი
ჩვენსავით მტკბობელ ქალებს და კაცებს...
ნეტარად ვწევართ სურვილთა ზღვაზე
და ერთმანეთში ერთმანეთს ვაწებთ
და ერთმანეთის სუნთქვაში ვყვავით....

III

ძვირფასმა ქალმა მიუგო: „წადი,
მე არ გაკავებ, შენც ნუ შეიცდი.
ადამის ძენი და მოდგმა მათი
როდი ჩნდებიან ერთგულებისთვის.

მაშ, მეგობარო, გაუყევ ქუჩებს,
ქვეყნად-ქვეყანას მოავლე თვალი,
სიამე მრავალ საწოლში ბლუჯე,
არწყულე ხელი მრავალი ქალით.

თუ მუავე ღვინით ჩაგმწარდა სუფრა,
სჯობს მალვაზია დალიო ბოლოს...
და თუ მე ტკბილად ჩამთვალე უფრო,
ჩემთან მაშინდა დაბრუნდი მხოლოდ!“

ბებია და შვილიშვილი – ბიჭუნა

„ფიქრი გაგირბის სხვაგან,
თან ჩემს მუხლებზე ხტები!“
საიდან მიხვდი, როგორ?
„ისე, უბრალოდ, ვხვდები!“

„ამ ტკბილ სიმშვიდეს ასე
შემიკრობს, აბა, სხვა ვინ?“
და შენც მასავით უცებ
გადააქნიე თავი.

„შენ თქვი: „ოდესლაც...“ – არა!
ნეტარებას ვვრძნობ ახლა...
თქვი, შენს სიტყვას და მზერას
რა შთაგონება ახლავს?!“

ქალწულობა და ქროლვა
შორს გადაფრენილ ჟამთა...
სულის მეღება კარი!“
ეს მეც ვიგრძენი, მართლა!

და სუყველა ვართ ერთად,
უცხო ვარსკვლავზე ვსახლობთ,
თან მასთან, თანაც – შენთან,
ასე შორი და ახლო!

„თუ პაპაშენთან შეყრა
არ მითრთოლებდა წამწამს?
მაშ, ჩემს კუბოსთან შეხლა

რატომდა მაკრთობს ამ წამს?“

რა დროს კუბოა! კარგი!
გარეთ მზეა და თბილა...
ზიხარ, შვილიშვილს უმზერ
და მასლაათობ ტკბილად.

ცნობისმოყვარე თვალებს
უცებ აანთებს კითხვა:
„მაგ შენს პატარა გზაზე
ვინ ჩაირბინა, მითხარ?!“

ჰო, დრო დამიღვა მართლაც
უცხო სიზმართან შეყრის...
ვიწრო, დახშული სივრცე
რა უცნაურად მეკვრის!

„იგრძენი, ჩემი გული
როგორ განათდა მყისვე,
როს ასჯერ ნაკოცნ ბაგეს
დაეკონები ისევ,

ჩემს გახსენებას ცდილობ,
ნუ შეიჩვიდ დარდი:
როცა ვკვდებოდი, შვილო,
იმ შენს ნორჩ ქალწულს ვგავდი.“

მსახიობ ჰერმან მიულერის გარდაცვალებასთან დაკავშირებით

ჩვენ და ეს სახლი ხელოვნებას ვემსახურებით,
ყველა ღრმა ტკივილს რომ ატკბობს და გამოაცოცხლებს
და სიკვდილსაც აგემრიელებს.

ის კაცი უძლიერესობდა, ვისაც ჩვენ ახლა
სულისკენ ვუხმობთ, მას სხეული გარდასახვაში
გამოჰყვა ისე ნიჭიერი, გეგონა ბადეც
ვერ დაიჭერდა. ოპ, როგორი იყო არსება!

ამჭვირვალებდა თავის თავს და თავის თვალების
თოვლივით თეთრ გარსს იდუმალად ამხელინებდა,
საიდუმლოში რომ ეძინა... ჩაისუნთქავდა
შეთხულ ქმნილებათ სულს კვამლივით, ხოლო სხეულის
ფორჯებიდან აბრუნებდა დღის სინათლეში.

თავის თავს ყველა მხრიდან ქმნიდა და მისგან მაშინ
უხვად მოჩქევდნენ არსებანი, ადამიანურს
ვერ კი იტყვიდი მათზე, მაგრამ ცოცხალნი იყვნენ
ისე, რომ იმათ სულდგმულობას აღიარებდი,
მიუხედავად იმისა, რომ მათი სადარი
არსად გენახათ. თვალის ერთი დახამხამებაც
მოწმობდა იმას, რომ ისინი ნამდვილნი იყვნენ
და ჯერაც ორთქლი ასდიოდათ მიწის სამოსი.
და, პოი, ადამიანები! დახუჭეთ თვალი
და გაიხსენეთ სხეულები, რომლებსაც შიგნით
უღვივით სულის ნაპერწკალი უკანასკნელი,
ხან კი – სულები (გარს, თავიანთ მსახურებისთვის,
რომ იშენებენ გამჭვირვალე სხეულს თუ ბუდეს)
სულმდაბალ, პირქუშ, სასაცილო, გამცემ, საშინელ
ადამიანთა, მეფენიც რომ იყვნენ ზოგ-ზოგნი –

ამგვარად ქმნიდა ის თავის თავს ყოველი მხრიდან.

თუმც, როს თამაში დამთავრდა თუ ჩაქრა და ფარდა
დაეშვა, უხმოდ მოხატული ქუთუთოსაგით,
ჩამკვდარ ჯადოსნურ მღვიმის წინ, და ის გამოვიდა,
მაშინ გაიხსნა მის წინაშე სცენა, ვით მუდმივ
უძილოს მიმართ ახელილი თვალი, რომელზეც
ფარდა არასდროს თანაგრძნობით არ ეშვება და:
გაიხსნა სცენა საშინელი სინამდვილისა
და გარდასახვის ყოველგვარი უნარი მისგან
მაშინ დაცივდა... და იქ მისი საბრალო სული
სულ მთლად შიშველი წავიდა და ბავშვის თვალებით
იყურებოდა, ჩათრეული ისეთ ულმობელ
თამაშში, რომ ვერც გაეგო მას – რა დაემართა:
ყველა ნაბიჯი უწინდელზე უფრო ღრმა იყო
და ყველა ჩუმი ჟესტი – ნაზად დაუნდობელი.
და ღამის სახე მოკავშირე იყო შეთქმულთა,
ქარიც, ნიავიც გაზაფხულის და ყველა იყო
მის წინააღმდეგ! არამზადებს კი არა, სათნო,
ნაზ სულებს უგებს ამგვარ მახეს სასტიკი ბედი
თუ ბედისწერა. მერე დადგა ერთი დღე, როცა
წამოიმართა ის და მისი ტანჯული თვალი
ზმანებითა და წინათვრძნობით გაივსო, მან კი
ძლიერი ხელით, რაღაც მძიმე მოსასხამივით,
მთელი სიცოცხლე მოისროლა და აღარ სცემდა
პატივს ის თავის მოსასხამის ქობაზე მტვერს და
არარაობის გზაზე დაშლილ-დარღვეულ ფორმებს.

ასე იფიქრეთ მასზე, რათა პატივსაცემა
პანგმა მოიხმოს თქვენს წინაშე. მიუხვდით მის ბედს,
მე კი, დავდუმდე მიჯობს, რადგან აქ არის ზღვარი,
სად მოწიწება მაწყვეტინებს პირს მომდგარ სიტყვას.

ბეჭნიერი სახლი

ერთ შეუმინავ შუშაბანდზე მღეროდა იგი.
ბერიკაცი რომ ცის წინაშე უკრავდა ორლანს,
ამასობაში ერთ კალოზე, მისსავ ფეხებთან,
ტანად ბადიშთან კეჭნაობა პქონდა წვეროსან
ბადიშს, ისე, რომ უწმინდეს რტოს ოლეანდრისას
ტანში უვლიდა ურუანტელი. ერთი ჩიტიღა
არა ფრთხებოდა ყვავილებით გაპენტილი ხის
კენწეროს შუქში გატრუნული, და ჭკვიან მზერით
გასცექერდა და ჭის ჩამოჩეილ გვიმის კედელთან
ყმაწვილი ქალი აწოვებდა თავის ყრმას მუმუს.

მხოლოდ ყარიბმა მოგზაურმა, ვისი გზაც კალოს
გასწვრივ იყო და გალავანთან უზვევდა – უკან
მოიხედა და ერთი მზერა სტყორცნა უცნობ კაცს
და გაიყოლა თან სიმშვიდის გასაოცარი
სურათ-ხატიღა, შეღამების იმ ღრუბელივით,
წყნარ მდინარეს და მდუმარ ტყეს რომ გადაუფრინა.

გემის ტყვე მზარეული მღერის:

ჩემიანებს მოწყვეტილი, ვაგლახ,
გემში ვგდივარ, რამდენი დღე გადის!
ვიღაცები მამცირებენ, მაგრამ
მათ ვუმზადებ ვახშამსა და სადილს.

თევზებს, წითელფარფლიანებს, ცოცხლად
მოძიყვანენ და ფიცს ვარღვევ მტკიცეს:
თითქოს მკლავენ, როცა მაგათ ვხოცავ,
დაკვლა მშვიდი ცხოველისაც მიწევს.

უნდა ჩუმი ცხოველები დავკლა
და გავთალო უნდა სილიც ამო –
მათთვის, ვისაც თავს არ ვუხრი მდაბლად,
ვისაც ვძულვარ სიალალის გამო.

და როდესაც მე სინათლის შუქზე
ვიქექები სუნელებში მათთვის,
თავისუფლად ყოფნას ფიქრში ვუმზერ,
მაგრამ უამი ძალზე ნელა გადის.

ჩემიანებს მოწყვეტილი, ვაგლახ,
გემში ვგდივარ, რამდენი დღე გადის!
ვიღაცები მამცირებენ, მაგრამ
მათ ვუმზადებ ვახშამსა და სადილს.

არნოლდ ბიოკლინის სულის მოსახსენიებელი

სიმფონიის ბოლო ტაქტების დროს, სცენაზე პროლოგი გამოდის, უკან მოჰყვებიან მეჩირალდნეები.

პროლოგი ჭაბუკია, აცვია ვენეციურ ყაიდაზე და, ჭირისუფალივით, მთლად შავოსანია.

ჩუმად, მუსიკავ! აწი უკვე ჩემია სცენა
და მსურს ვიგლოვო, რადგან მე დღეს შემფერის გლოვა!
ახალგაზრდობის იმ დროიდან იღვრება წვენი
ჩემში, და იგი, ქანდაკება ვისიც დამყურებს,
ჩემი სულისთვის მოძმე იყო უსაყვარლესი.
და ეს კეთილი მეგობარი მე მჭირდებოდა
ძალიან, რადგან მრავლადაა ამ დროში ბნელი
და ვით ნეტარად მოცურავე არსება გედი,
ნაიადას სველ, თეთრ ხელიდან საკვებ მარცვლების
კოცნით კენკეისას, სწორედ ისე, სწორედ იმგვარად
ვიხრებოდი მე მის ხელებზე ბნელ საათებში
ამ ჩემი სულის საკვებისთვის და სიზმრებისთვის.
შენს სურათს ვამკობ აყვავებულ რტოებით მხოლოდ,
შენ კი შემიმკე მე სურათი მთელ სამყაროსი
და მოყვავილე ყოველი რტოს საამურობა
ისეთნაირი ბრწყინვალებით აღამაღლე, რომ
სრულიად მთვრალი იატაკზე ვემხობოდი და
სიხარულისგან მოყვირალი ვგრძნობდი, თუ როგორ
იხსნიდა ჩემთვის სამოსს მნათი დედა-ბუნება.
მისმინე, ჩემო მეგობარო, გაგზავნა არ მსურს
მაცნეებისა, რომ იძახონ შენი სახელი
ოთხივე ჯუთხით, ქარში, როგორც ხდება ეს მეფის
მიცვალებისას. მეფე ბეჭედს უტოვებს თვის ძეს,
ხოლო თავისი საფლავის ქვას - თავის სახელის

ხმას. თუმც შენ იყავ ჯადოქარი იმდენად დიდი,
რომ რაც გაგაჩნდა თვალსაჩინო, წავიდა, თუმცა
არ ვიცი, არა, თუ რა რჩება აქ და იქ შენგან,
არსებობას რომ გააგრძელებს იღუმალ ძალით
და ღამეული დინებიდან ამოიწევა
ნაპირზე, ანდა - მისი ყური თმა-ბალნიანი,
სუროთა უკან დაცქეტილი.... ამიტომაც მსურს,
აღარასოდეს ვიწამო, რომ მარტო ვარ სადმე,
სად ზები და ყვავილები ჩანან, ან სადაც
მხოლოდ მღუმარე ქვებია და ციცქა ღრუბლები
არიან ცისქეშ: და რომ რაღაც, არიელივით
გამჭვირვალე რამ ოინბაზობს ჩემს ზურგზე, რადგან
არის შეკრული იღუმალი კავშირი, დიახ!
და გაზაფხულის ველი ისე შემოგვცინოდა,
როგორც მავანი წუწყი ქალი უცინის იმას,
იმ მამრს, რომელსაც სწორედ იმავ ღამით დანებდა.

მეგონა, შენზე ვგლოვობდი და ჩემი ბაგენი
დასიებულან სიმთვრალისგან და გასახარელ
სიტყვით მიტომაც უფრო დიდხანს აქ არ შემფერის
დგომა. და მინდა ჯოხი სამჯერ დავკრა მიწაზე
და ის კარავი გამოვსახო სიზმრებით. მინდა,
რომ დავამძიმო მწუხარების ტვირთით ისინი
ისე, რომ გზაზე ლანდებივით მიბარბაცებდნენ,
რათა ყოველმა იმათგანმა შეძლოს ტირილი
და ივრძნოს, დიდი მწუხარება ყველა ჩვენს საქმეს
თუ როგორ ერთვის.

დე, თამაშმა გიჩვენოთ ყველა
შეშინებული ანარეკლი ბნელი საათის,
და მწუხარებით სავსე ჯილდო დიდი ოსტატის
მიიღეთ ახლა ჩრდილისმაგვარ ბაგეებიდან!

ზაფხულის მონატრება ბერიკაცის მიერ

რომ დამდგარიყო, მარტის ნაცვლად, ივლისი ახლა,

ავიწყვეტდი და წავიდოდი სადღაც შორს, მაღლა,
გორაკებისკენ, ჩქარი ეტლით, ან სულაც ცხენით,
ან მატარებლით, სადაც ვეღარ მპოვებდა დაღლა.

იქ ხომ ჯგუფ-ჯგუფად იდგებოდნენ მაღალი ხენი:
ჭადარი, თელა, ანდა მუხა, რომლებსაც ისე
ჩავიხუტებდი – დატოვებდა დარდი და სენი...

ჩამოვხტებოდი ცხენიდან, ან მეეტლეს, მყისვე,
შეჩერდი-მეთქი, შევძახებდი, გავწევდი ცხადად
წინ – ზაფხულისკენ, ისე, როგორც ტოროლა – ცისკენ,

და სულს ხეებქეშ მოვითქვამდი, სად ამოდ ხატავს
დრო დღე-ღამეს და არა ისეთ საშინელ რამედ,
როგორც სჩვევიათ ამ ჩახუთულ სახლებში, სადაც

დღე არის ისე მოსაწყენი, ვითარცა ღამე,
ღამე – დღესავით გულგრილი და უსახო არის,
იქ კი – სიცოცხლე მომიძღვნიდა მშვენიერ წამებს...

და ჩრდილებიდან შევიდოდი საღამოს მთვარის
ნე-ტა-რე-ბა-მო-სი-ლე-ბა-ში! ვუსმენდი ნიავს,
არ გავიგებდი: „ეს ყოველი არარა არის“.

ბნელდება ბარში, სადაც მჩინარ სახლებში გვიან
ინთება შუქი და წყვდიადი მიორთქლებს სახეს,

თუმცა სიკვდილზე ღამის ქარი არ ამბობს ღიად...

სასაფლაოსკენ მსვლელი ვხედავ დარდებში ნახვევ
ყვავილებს, მწუხრის შუქში მრწეველთ რომ უნდათ კრეფა,
სხვას – აღარაფერს! და ხსოვნის კარს ბოლომდე ვაღებ...

ხოლო თხილნარში, ბოლქვებს შორის, რომლებიც ხმება,
მოქშუის წყალი და ბავშვივით ვუსმენ და არსად
მესმის ჩურჩული: „ამაო და ფუჭია შვება“.

და ტანთ ვიხდი და გადავხტები, ჭაბუკის მსგავსად,
ცივ ნაკადულში და თავს როცა ამოვყოფ, ცაზე
მთვარეა უკვე, ვიღრე მე წყალს ვებრძვი და ვასხამ.

ამოვიწევი ნახევრად და სიცივით ნაწერ
თეთრ ჩქერებიდან რიყის ბრტყელ ქვას ნაპირზე ვტყორცნი,
მერე ვდგავარ და გრძნობას მთვარის ნათელში ვაწებ.

და იმ ზაფხულის ქვეყანას კი ეცემა მორცხვი
ჩრდილი და – ეს ხომ ისაა, თავს რომელიც აქნევს
ბალიშის უკან, ცივ კედელთან, უსიტყვო ლოცვით.

ეგზომ მწუხარედ რომ ჩამჯდარა და ხსოვნის აკვნებს
არწევს დილამდე და სინათლეს შეჰყურებს ავად
და სწამს, რომ რაღაც გველოდება ორივეს აქვე

და ის, რომელიც მარტის თვეში ვერსაით წავა,
ღამეებში რომ ვერსად წვება და მონებს ქარებს,
გულზე შავხელებდაკრეფილი თავისით, თავად?!

ეჭ, სადღა არის ივლისი და ზაფხულის მხარე?!

რაა სამყარო?

რაა სამყარო? ის ლექსია მარადიული,
იქიდან სული გვეფინება ღვთაებრიობის,
იქიდან ღვინო ქაფდება და შუშხუნებს სიბრძნის,
იქიდან ბგერა სიყვარულის გვესმის მზიური.

ცვალებადია, ო, განწყობა ადამიანის,
იგი სხივია და იშვება იგი ამ მზიდან.
ლექსი ლექსის მოსდევს ათასობით წმიდათა წმიდა,
მოიყვავილებს მერე, როგორც შუქი გვიანი.

იდუმალია, მარტოსული — სამყარო ჩვენი,
სავსე შეუცნობ და ვერასდროს აღქმულ ბგერებით.
ტკბილი, შემკული საკუთარი მშვენიერებით

და სხვა პატარა ექო ისმის და შუქი შვენის,
და თუ შენ კითხვას მიუხვდები და თუ გაწვდები,
ეს არის წიგნი, სიკვდილამდე რომ ვერ ჩაწვდები.

თუ ხედავ ქალაქს?

თუ ხედავ ქალაქს, დაქანცული როგორ ისვენებს
და გაეხვევა ის ჩურჩულით კაბაში დამის?
და ვერცხლოვანი აბრეშუმის მთვარე კვლავ ქსელებს
ხლართავს და ქალაქს თავს ზღაპრული სიმდიდრე დასდის.
და მოაქროლებს თბილი დამის ქარი მის სუნთქვას,
ისე იღუმალ და ჩუმ ბგერას, რომ აღქმას გვიშლის.
ის ტირის ძილში, მძიმედ სუნთქავს და ცრემლი თუთქავს
და ის ჩურჩულებს შეუცნობი, მომნუსხველ შიშით.
ბნელ ქალაქს სძინავს ამ ჩემს გულში, ბრჭყვინავს, ვარვარებს,
ალსავსე ტანჯვით და ფერადი დიდებულებით:
შენს ირგვლივ მისი ანარეკლი რბილად ნარნარებს,
ჩაკლულ ჩურჩულით, დამის ვნებით სავსე გულებით.

ჩემი ბალი

მშვენიერია ჩემი ბალი ოქროს ხეებით,
ფოთლებით, სულ რომ ცახცახებენ ვერცხლის ჩურჩულით
და ბრილიანტის ნამით, ღერბის გისოსით, გულით,
ჟღერით გონგისა, სადაც თვლემენ ლომთა დღეები.
თვლემენ ლომები სპილენძისა, ჭოპაზის ფაფრით,
ვოლიერებით, პრიალებენ იქ წეროები,
დასარწყულებლად არსად უვით მათ ვერცხლის ჭები...
რა ლამაზია: მონატრება არ მოდის სწრაფი
იმ სხვა ბალისა, სადაც უწინ, ერთხელ, ვიყავი,
სად, არ კი ვიცი... შევიყნოსავ ნამს მარტოოდენ,
რომელმაც ადრე მე შემიძეო თმები და თავი,
და — ნესტიანი მიწის სურნელს, სითბო რომ მოსდევს,
როს მივდიოდი საძებნელად რბილი კენკრისა,
იმ ბალში, სადაც უწინ ვიყავ, ყოფნა მელირსა.

შსახიობ იოზეფ კაინცის მოსახსენიებელი სტრიქონები

ო, მე რომ მისი ხმა მქონოდა აქ მის საგლოვად!
მისი მეფური თავდაჭერა რომ მომცემოდა
და ვმდგარიყავი თქვენს წინაშე მოთქმა-გოდებით!
მაშინ ეს ჟამი ჭეშმარიტად განდიდებოდა,
ხოლო მეფური ღირსებანი და ბრწყინვალება,
მწუხარებაზე მეტი – ჩემზე გადმოვიდოდა,
რადგან მეფეთა ქცევას ერთვის დიდებულება
მაშინაც, როცა გლოვობენ და მწუხარ არიან.

ჰოი, მისი ხმა! ჰოი, იმ ხმას ფრთები ჩვენ შორის
რომ გაეშალა! – საიდანლა უღერდა ნეტავი
და ჩვენს ყურამდე საიდანლა აღწევდა? ვიღა
ლაპარაკობდა ამგვარ ენით, ამ ფიცრებიდან
ზემოდან ქვემოთ გადმომდგარი? ვინ საუბრობდა
მაშინ რომეოს ან უბედურ პლანტაგენეტის,
ან თუნდაც ტასოს სხეულიდან?
ვინ იყო იგი?

გარდაუსახველს აურაცხელ გარდასახვაში,
მომჯადოებელს და არასდროს მოჯადოებულს
და ვერშეუძრავს ვუყურებდით მას, ვინც შეგვძრავდა
და ვინც შორის იყო, როს გვეგონა ახლოს მოსული
და ვინც ყველაზე უცხო იყო უცხოთა შორის
და სუყველაზე მარტოსული მარტოსულთ შორის
და მოციქულთა-მოციქული უსახელო და
თანაც შიკრიკი უსახელო ერთი ბატონის.
მან ჩაგვიარა გვერდით ყველას და მისი სული
ზომაზე მეტად სწრაფი სული იყო და მისი
თვალიც ძალიან ჰავავდა ჩიტის თვალს პაწაწინას.

ის ამ სახლს ჰყავდა, მაგრამ განა შეინარჩუნა!
ჩვენც გვყავდა იგი,
მაგრამ ჩვენგან უეცრად გასხლტა,
იმგვარად, როგორც ჯელობა გვისხლტება ერთ დროს,
წყალვარდნილივით ულმობელი და მომნუსხველი...

მოუსვენარო და აშკარა იღუმალებავ
ადამიანურ ბუნებისა! პოი, არსებავ,
ვინ იყავ ნეტავ! პოი, უცხოვ, მოხეტიალევ!
ო, სიმარტოვევ, შენს შემთხვევით ამხანაგებთან
ღამეულ ამო საუბრებში თუ ტრაპეზებზე!

პოი, ღრმა გულის მარტოობავ, გაზევებულო
და მოსვენებადაკარგულო უძილო სულო!
ო, სულო! ხმაო, საკირველო სინათლევ! რარიგ
მოქროდი, თეთრო სინათლეო, და ირგვლივ ბნელში
სიტყვებისაგან აშენებდი სრა-სასახლეებს,
სად გულის ერთი ფეთქეისა თუ ძგერის ვაღაში
ჩვენ შენთან ერთად ვბინადრობდით – ხმაო, რომელსაც
ვერ დაგივიწყებთ ვერასოდეს, ველარასოდეს –
ო, ბედისწერა – დასასრული, გზის დასასრული!
პოი, სიცოცხლე იღუმალი! ბნელი სიკვდილი!
როგორ ზრუნავდა და იბრძოდა სიცოცხლე მისთვის,
მაგრამ ვერასდროს ჩაითრია, მთელი არსებით,
იგი ჟინიან გარდასახვის საიდუმლოში!
როგორი მყარი რჩებოდა და როგორ მეფურად
უძლებდა იგი! ო, პატარა ხელი, დიადი
ძალით აღსავსე! ო, პატარა თავი დახვეწილ
მხრებზე და - თვალი, ჩიტისებრი, რაც უარობდა,
რომ ყოფილიყო ახალგაზრდა, ანდა - მოხუცი!
პოი, მიმინოს თვალი, რაიც მზის წინაშეც კი

არა ხრის მზერას! ო, უშიში, მამაცი თვალი,
ბნელი უფსკრული რომ გაზომა ორივნაირი,
როგორც სიცოცხლის, ასევე იმ შლეგი სიკვდილის!
ო, მოციქულთა-მოციქულო, დიადო სულო!
შენი დარჩენა ცისქვეშ მასხრად აგდება იყო,
წასვლის მსურველო მოჩქარეო და აფრენილო!

შენზე არ ვგლოვობ, რადგან ახლა ვიცი ვინც იყავ,
შენ, მსახიობი უნიღბოდაც, შთაგონებულო,
ზემოთ წასულხარ, სადაც ჩემი თვალი ვერ გხედავს,
მიმინოსავით დასტრიალებ თავს იქ ყველაფერს
შეუმუსრავს შენ და კლანჭებით გიჭირავს სარკე,
რომელიც რაღაც თეთრ სინათლეს ისვრის ზემოდან,
უფრო თეთრ ვარსკვლავთ სინათლეზე. შენ იმ სინათლის
მატარებელი ხარ მარადი და მოციქული
და ისე, როგორც მოლივლივეს და შეუმუსვრელს,
ჩვენ დღე და ღამე ვიხსენებთ სულს, რომელიც შენ ხარ.

ო, ხმაო! ხმაო! სულო! სულო! ზეაფრენილო!

ନୀତେବୁନ୍ଦେ ଓମି ଶାଶ୍ଵତାଲୀ

გისონი

მსურს კეთილშობილ ლექსთა ნაჟური –
ღვინო – რომ შევსვა ოქროს თასითა,
იმ ლექსებისა, ბრბოს რომ მაშორებს
და რომ არ ესმის ერთს ათასიდან.

სხვამ იმ თასიდან შესვას ის ღვინო,
რომ ჩამოივლის ტუჩებს მავანთა,
არ მსურს მასების ქმინვა ვისმინო,
გნიასი ბრიყვთა შთამომავალთა.

მბრძანებელივით ვუსმენ ზეიმებს,
მახარებს გონი და უნებური
ალღო აღმავსებს, მჩუქნის მზე იმედს,
არ ვარ ხალხისგან მე ცდუნებული.

არ მინდა ტაში ანუ ცრუ მალა,
მოვუხმობ სწორებს და ჩემს დროებას
ხალხისთვის ვპეტავ, მათ ავუკრძალავ
ნატიფ გისოსთან მოახლოებას.

მაისი

მაინც მოხვედი, მაისის თვევ,
გარდისთითებავ,
სალამურის ხმით ალივლივებ
ცის გარინდებას.

ამ თეთრ ყვავილებს, მოფარფატეს
ღვთიურ სიზმრიდან,
რას ვიფიქრებდი,
ეს ღამე თუ ამოიზრდიდა.

ციდან დაეშვა ცის სილურჯე
და, უწყინარი,
ბალახს ირეკლავს
ცვარი მბრწყინავი.

დის ნაკადული,
მისი სრბოლა ჩხრიალში არი,
სახურავებთან ძლიერდება
ცაცხვის შრიალი.

ტყეს და მდელოებს
მთვარის შუქი მიეფინება,
ტოვებს ფილაქანს,
მთვარემ სახლში შესვლა ინება.

მწერების ბრწყინვა,
შუქ-ჩრდილებში მოხამხამეში,
და დღის სიზმარი
უხმაუროდ სუნთქავს ღამეში.

* * *

პიერო უკრავს მანდოლინას, ისე ხმადაბლა
მღერის და ცდილობს ხმით ოპოვოს პიკოლომ ბინა,
არ დარჩენილა ჰანგის უღერა ფანჯრის ანაბრად,
მიეალერსა, გააღვიძა მან კოლომბინა.

წევს სიზმარ-ცხადში კოლომბინა და ხელს აცეცებს
იქითკენ, სადაც ეგულება პარკში ნუგბარი,
ვაშლის ხეები ყვავილების ფანტავს ნამცეცებს,
ამოდის მთვარე, ახლოვდება დრო სანუკვარი.

კოლომბინას

მინდა ვიტირო ყვავილებში სახეჩარგულმა
და, ყვავილებო, სურნელებით ასე სავსენო,
უნდა შეგკონოთ, უნდა შეგკრათ ერთ თაიგულად
და თაიგული ჩემს ბალიშზე გადავასვენო.

ამის მერე კი ღამე მოვა მთვარისჩადრება,
მსუბუქი ფრთების, რბილი ფრთების მე ვარ მსურველი,
მხურვალე წადილს აალებულს და მონატრებას
შეუერთდება ყვავილების ნაზი სურნელი.

ოჯახური სცენა

მთვარე აივანს ეპარება და ნაღვლიანი
მთვარე ნესვივით ფერმქრთალია, ფანჯრის მინებთან
ახლოა, თთქოს, მისი სახლი ეს სახლი არი,
ანათებს ოთახს, ყველა კუნჭულს მიეფინება.

მოუხმობს მთვარეს პიერო და შესთხოვს დარჩენას,
მასთან დარჩენას, მოწყენილი და თავდახრილი
ეპატიუება მთვარეს, როგორც თავის არჩევანს,
ეპატიუება მთვარეს დაღლილი.

სკამის საზურგეს კოლომბინა რომ მიეყრდნობა,
ძაღლი და კატა იქ უსხედან, თვალს არ აცილებს,
რადგან ორივე მათ მშვენიერ პატრონს ენდობა,
ის კი ორივეს აწვდის ქიშმიშს და უნაწილებს.

მარტის თოვლი

მოყინულ ბაღებს და ბაღს ხეიბარს
და ყინვადაქრულ ყვავილთა ზეირთებს
და მდინარესთან ცაცხვის ხეივანს
ათოვს და თოვლი მოაშთობს კვირტებს.

პიეროს სურდო ზაფრავს მაშინვე
და კოლომბინა აგრძელებს ვიშვიშს:
წითელი ცხვირი მუდამ მაშინებს,
თანაც თვალები მიგიგავს ქიშმიშს.

აღდგომა

ვიოლინოთა ქლერა გაივლის
გულს და ბგერანი მოკიანთენი
ეკვრიან ზეპს და კრთის ყვავილი,
თითქოს ათასი ენთოს სანთელი.

მდელო, მდინარე, დღეს ასე ცხადად
სიხასხასესთან ნაზიარები,
მწერთა ბზუილი, გუნდი მერცხალთა
და სამრეკლოდან რეპვა ზარების.

ქასანდერი

(Entrée)

თანამედროვე პოეტი ვარ და მე ქედს ვიხრი
კრიტიკოსების წინაშე და ვიცი, რა მართებს
ხროვას, რომელიც ავბედითად კოპებს შეიყრის,
იგია ჩემი განმკითხავი და მოსამართლე.

ნუ გაიკვირვებთ, მათ გარეშე თუ ვერ გავძელი,
კრიტიკოსების ბრბოა ჩემი მუზის მმართველი,
რამენაირად მოგერგები მათ რბილ სავარძელს,
აი, მაშინ კი მოკაკვულიც გავიმართები.

ფიქრები

ღამე ლურჯი და სურნელოვანი
აბრეშუმივით მიედინება,
ქარმა ყანაში თვლება ინება
და ნაზად ფშვინავს ჩუმი ხმოვანი.

ვარსკვლავები კი, როგორც ბაფთები,
თრთიან, და ღამეს ვერ მოშორდება,
ალვის ხეები სადღაც გაკრთება,
ხან სად, ხანაც სად აიშოლტება.

ზის, თავჩარგული, ქვაზე პიერო,
მუხლზე იდაყვებჩამოყრდნობილი,
ღამის დუმილი გაიზეპირა,
დუმილი არის მისი დობილი.

პიეროს მხოლოდ ფიქრი არინდებს,
ტვინში ჩარჩენილ ფიქრებს ჩაჰყურებს,
არ იცის რა ქნას: ენდოს, არ ენდოს,
და შუბლზე თითებს მიიკაკუნებს.

წამოიმართა პურის ყანიდან
და ქარი ტოვებს ადგილს ნაფერებს,
გაქრება მთვარე, ცოტა ხანიც და
წინ ისევ ჩრდილებს ჩამოაფენენ.

შემოდგომა

ფოთლები ყვითლად გადაუფერავს,
ოქტომბრის ქარი სად არ უბერავს,
ფანტავს ხმელ ფოთლებს, ანარცხებს პირქვე.
შეშინებულან ფანჯრის მინები,
შიშს გვაგრძნობინებს წყარო დინებით,
შეფარებიან კურდღლები ჩირგვებს.

სუსტი სხივებით მზე ვეღარ ათბობს
სიცოცხლეს მიმქრალს, და თანაც არ თმობს,
მთაში ზამთარი ყმუის ხმაცივი.
ჭირხლი ედება ლექსის სტრიქონებს,
ძველ აღმაფრენას ვეღარ იგონებს
და კოჭლობს ჯუჯა ბერიკაცივით.

ყმაწვილური ნატვრა

ო, ლაშქრობაზე მეოცნებე ნატრულო ზრახვავ,
ბრძოლისთვის მზადმყოფ ხომალდზე რომ ოცნებით ახვალ,
გემზე, რომელსაც სურს გაექცეს ღელვას და დრო-ჟამს,
თანაც ანძაზე აფრიალებს მეწამულ დროშას.
ნატვრავ ტანჯულო, აქაფებულ ზღვაში რომ დგახარ,
ერთხელაც ვინმე მშიერსა და მწყურვალს მოგნახავს.

ლამეს

მოღი მშვენიერო ლამევ,
მომეც ბინდის სამოსელი,
დედის გამაგონე ხმა მე –
სიტყვა სიზმრით ამოსული.

დაღლილი მზერა მელანდება
ვიხსენებ დედის დანაბარებს,
სიზმრის ფოთლებო, ფერადებით
ჩემი სურვილები გადაფარეთ.

იქნებ ბავშვობა, რასაც ველი,
ისევ დამიბრუნო, კვლავაც ვნახო,
და დღე მომავალი, დასაძლევი,
შენი შემწეობით გადავლახო.

ჰატარა ქალო

შენმა თვალებმა, ცრემლიანმა, რად მოიწყინა,
და დაცვარული ყვავილივით რატომ გიბრწყინავს?

როცა იცინი, შეგიფაკლავს ლოფას ხურვება
და ეგ თვალები ბრჭყვიალებენ კოწახურებად.

ამბავს რომ ჰყვები ყოველდღიურს, აღარ იცინი,
სწუხხარ უნაგირ – სულ ახლახან – დადგმულ კვიცივით.

სიყვარულზე რომ საუბრობენ შენი ბაგენი,
ხარობ, თითქოს და რითმით შემთვრალ ლექსს მიაგენი.

ესპანელი ინფანტის სურათი. ველასკესის ნახატი

ფერმკრთალი ხელით, ნატიფ თითებით,
სურნელს რომ გრძნობენ თეთრი ვარდების,
ხანდახან სუსტად და მორიდებით
ქალის თბილ თმაში რომ იბლანდება,
ჩავჭიდებივარ ხმლის ქარქაშს მტკიცედ.
დასრიალდება ჩემი მზერა რუხი კედლიდან,
ბაგენი ჩემნი გრძნობენ ლოცვის შებოჭილობას
და პირი ჩემი მოკუმული ამ სიმკვეთრითა –
სინამდვილეში არის ბასრი ხანჯლის ჭრილობა.
ძალლს ვეფერები დამშეულს და ნაცემს მრავალგზის,
საზიზდარ ჯუჯებს ვასაჩუქრებ ლხინის მსურველი,
მერე კი ყველას ვამათრახებ. ამომავალ მზის
სიწითლისაგან თავს ვიფარავ სქელ საბურველით.

ჩამომხრჩვალი პიერო

როცა გიხილე, შენ, პიერო, ბოძე ეკიდე,
გაფითრებულო, შუალამის ქსოვილს ვინ ართავს?!
ცად ვარსკვლავები ნაღვლიანად თვლემდნენ ჯერ კიდევ,
შენი ძმობილი მთვარე როცა გაუჩინარდა.

ქუჩის ბინდ-ბუნდში წარმოჩინდნენ შენი ნაკვთები,
გულში ტკივილი მომეძალა, შიში და სხვა რამ,
შენი ცხოვრების სიცრუეზე ვფიქრობ აგდებით,
საკუთარ ყულფზე რომ ქანაობ ახლა, მასხარავ.

არ ჩამოგხსენი, გავიგონე მხოლოდ შრიალი,
შევახე ხელი ტკივილს, ბნელში რომ აბურდულა,
და ჩემს ზურგს უკან უცებ ჩრდილი მოწყდა სრიალით
და გაიპარა სადღაც ქურდულად.

ჩრდილთა თამაში

მზიან კედელზე დღეს ჩემს ბიჭუნას
თავისი მკრთალი ლანდი ვაჩვენე,
მანაც უმალვე მზე დაიწუნა
და ჩრდილად ქცეულ ღამის ნარჩენებს

დაუწყო კრეფა მისხალ და მისხალ,
ხორცი შეასხა, წელში გამართა
და გადაუსხა ძარღვებში სისხლად
ბინდი და ქუფრი გასულ ღამეთა.

შემდეგ ხან სდია, ხანაც დაშორდა,
ხან ფერხთით ჰყავდა თაკარა მზეზე,
მეც მომაგონდა ჩემი ბავშვობა
და ვიხსენებდი თამაშის წესებს -

ჟინმა და წესმა თუ დაგაბრმავა,
გამოერიდე, სანამ ნახავდე
ჩვენი სიცოცხლის მიზანს წარმავალს:
შუქ-ჩრდილთა შავ-თეთრ კედლის ნახატებს.

ტყის ქათმების გადაფრენა

გადახუნებულ ზეცაში
ფრინველთა გუნდი შავდება,
გომბეშოების ყიყინი
არასდროს ჩამოთავდება.

მდინარე, მწვანე კუნძული,
ლაქაშში ქარი ნანაობს,
ივანანა კი ცაცხვებში
გაისმის და მინანაობს.

ფრინველთა ხმები მინელდა,
მინდორი ნამით ირთვება
და, ვხედავ, ცაზე ვარსკვლავი
რა უმშვიდესად ინთება.

მთვარიანი ლამე

მდელოზე ნისლის საბურველი წვება, ამ შრიალს,
მთვარით მოქსოვილს, მარტოობის ფრთები გაშლიან
და ზედაპირი მდინარისა მორთოლავ ტირიფებს
წაართმევს ჩრდილებს, გაურკვეველ ლანდებს მიიფენს.

სიბნელე, მწვანე და უღრმესი, ხეებს აღერილს
გადაევლება და უფალი, ვისი სახელიც
კვლავ უცნობია, გამუდმებით ერთვის საფიქრალს,
ზეცის კონტური უცაბედად თვალწინ გამიქრა.

ՆՈՉՈՉԵԼՈՒ

ծիլուս դրու արօս և զանջրեծու լամեթ Շեծյուրա,
դղյա դառնա, կվալու առ հանս մ՛շվու սալամուսու,
Շեն ցանցածու մեռու դղյա և մշտակած
պատուած մուրգու ժանիչու սամուսու.

Դղյա և դանեծդղյա, Ցողջյուր դուռու յեթ և սեպա մեսարյաս,
առու ույ մ՛շվերյա մուտուայ Շեն սաստումալու,
տզուտուն առ օցու, Եանձան բռմ բարաց ցախարյածս,
կմարառ, ալճառ, Ցուսիւած մաժոն ցեղյացու շոյաճու.

უფალზ

ყოველი გონი შენს ღვთაებრივ არსესა სწვდებოდა,
ყოველი სული შენს წიაღთან შერწყმას მოელის,
ვის შეუძლია, მითხრას შენი არარსებობა,
როდესაც შენი შექმნილია არსი ყოველი.

შენა ხარ, ვისაც შეუქმნია და გაუმართავს
უსასრულობა დრო-უამისგან ვერშენამუსრი,
დასაბამიდან ზღვებს და ხმელეთს აწევს გუმბათად
მზითა და მთვარით მოკაზმული შენი სამოსი.

მის ნაკეცებში დღეებსა და ღამეებს ხლართავს
მარადისობას მოწყვეტილი ვერაგი უამი,
ეგებ ზემოდან დაგვაბერტყო სამოსის კალთა
და ქვეყანაზე ხრწნას და ჭერობას უწამლო რამე.

ზოგჯერ, შუაღამისას

ღამით მგონია,
რომ ვფლობ იმას, რაც ედარება
მარად ცვალებად სახეებს და
მგვრის ნეტარებას.

მეორე დღეს კი მეჩვენება
ვრცელ სიჩუმეში,
მარადისობის მცირე ნაწილს
ვმალავ უბეში.

მოტაცება

სანთლის ფარფატა, მსუბუქი ალი
ხრჩოლვით, ლანდისებრ მიიწევს მაღლით,
სანთლის ღეროზე კრთის, როგორც თვალი,
მისწებებია ღეროს ტყვესავით.

და მცირე სუნთქვა პირქუშ ოთახში
ო, უცაბედად ალს წარიტაცებს,
მისი მიმქრალი, ბრწყინვალე ნაყში
წრეს შემოხაზავს და იბარბაცებს,

გულის სიღრმეში შეიგრძნობ ძახილს
და ეს ძახილი შენ შეგეხება
და მეოცნებეს გიტაცებს მაღლით,
სამშობლოსაკენ – ზეცას ეხლება.

გრძნობ, რომ ნარნარით მიაპობ ჰაერს
სიცოცხლის თავზე და – ნება-ნება –
ბებერ წყაროსებრ, – იქ იყავ, დაუ,
სადით დრო ბნელში მიედინება.

ისინი

„მაშინ“ – იტყვიან ისინი და თან გრძნობენ – „ახლა“, რარიგ უცხო ვარ მე მათ შორის, რარიგ ეული. ო, მათ ცხოვრებას მათმიერი ნაბიჯი ახლავს წინ გადადგმული, უცაბედი, ანაზღეული.

მე საკუთარი თავისაკენ მივემართები
მუდამ, და ვიცი, რომ ვერასდროს მას ვერ მივაღწევ.
ჯერ არ ვარ ჩემი საკუთარი „შენ“ აღმართებით,
ხოლო ისინი თავიანთ მსგავსთ ემსგავსნენ ასე.

ბავშვები

ახლა მათ სძინავთ და პატარა, ქერა თავები
მსუბუქად უდევთ პაწაწინა ხელებზე ძილში.
ჩუმად ვუსწორებ საბანს, აღერსს არცა რა მიშლის.
ხელს გადავუსვამ – მათ სუფთა აქვთ ნაზი შუბლები,
ამ შუბლთა მიღმა იმალება სასწაულები.

საბავშვო სიმღერები

როცა გავიზრდები

მამიკოსხელა გავხდები როცა,
მე ცელქ მაიმუნს დავიჭურ მაშინ.
შარვალ-ხალათით დედა შემოსავს,
გამოეწყობა ის, როგორც ბავშვი.

დე, უკან მდიოს მან მსახურივით!
ჩვენს წინ შედგება ყველა პატარა,
ყველა გოგონა, ბავშვი ურიცხვი,
მაიმუნთან რომ დრო გაატაროს.

დედის თვალები

დედა, შენი თვალები,
ეგ თვალები სველია.
ვხარობ, შვილო, სისარულს
ვეღარ გავუძელია.

დედა, შენი თვალები,
ეგ თვალები სველია.
არ მემხიარულება,
სევდა შემომერია.

ცელქი ანგელოზი

ზეცის ჭიშკართან, კარგად ვხედავ, დგას პეტრე წმინდა,
მის ჭალარა და წინ დახრილ თავს ვუყურო მინდა.

იქვე პატარა ანგელოზი დგას გაყინული,
თმები სველი აქვს, ყურები კი უხურს ბინულით.

იმან გაბედა მალულად და ქვეყნად მოვიდა,
სიკვდილზე სიტყვაც არვის უთქვამს საღამოიდან.

და ახლა ისევ აქ არის და ტირილით ამბობს:
„ო, საყვარელო წმინდა პეტრევ, მექმენი ამოღ!

ლამაზი იყო წუხელ ისე ნათელი ღამე,
ღრუბელთ საწოლში გამეღვიძა, როგორ ვიამე.

ვით ნაპერწკლები, იქ ბრწყინავდნენ ო, ვარსკვლავები
და ერთ მათგანთან, გრძელკუდასთან, უმაღლ დავები.

მან თავის ზურგი მოკრძალებით შემომთავაზა,
მოგზაურობა მეც მინდოდა წყნარად, ლამაზად

და მასთან ერთად ცოტაოდენ გავინავარდე,
მან კი უბრალოდ მომატყუა, როს ავყევ ცამდე.

მან მითხრა, არის ეს ღამეო თბილი და წყნარი,
მე კი ვიგრძენი მარტოოდენ ცივ-ცივი ქარი,

რომ მიბერავდა შიშველ მხრებზე მწარედ და მძაფრად,
სანამ დაბლა არ ჩამომაგდო და არ დამზაფრა.

მერე იქიდან ზევით ასვლას ვითხოვდი ვიშით
და მაშინ მთვარემ უმოკლესი გზა მომცა ნიშნით.

აი, ახლა კი, როგორც იქნა, ისევ ვარ შინა,
იქ წასვლას აღარ დავაპირებ, მსურს მყუდრო ბინა“.

წმიდა პეტრე კი წვერს იჩეჩავს თავისებურად
და თან ბუტბუტებს – ანგელოზი ნათლით შებურა,

ღამის სამოსად გაუწოდა პერანგი თბილი
და განუწესა დასაწოლად საწოლი რბილი.

მთვარალი მთვარე

ის დაღლილია და ყურძნის სისხლით
ლოყებსავსეა, პირზე ღიმილით.
ის ამოგორდა მიღმიდან ისხრის,
ბურთივით მრგვალი, ნაზი ღივივით.

მიცოცავს ღრუბელთ ფაფუკ ბანაკში,
რუხ და ჩახუთულ ღრუბელთა შორის.
ზეაწეულ წარბს მიათამაშებს,
ამთქნარებს, ცაზე ვართ შხოლოდ ორი.

ბოსლის ზღვეზე

ყურებამდე ჩალაში ვარ ჩაფულული,
თბილად ვწევარ, მაღლა ლურჯ ცას ავცქერი,
სახურავის ვიწრო სანათურიდან

ზეცა მოჩანს, როგორც დიდი საცერი.

და მე ვინმე პრინცი ვიდუვიტი* ვარ,
უცხოეთში ვცხოვრობ, შორის უცხოთა.
ღამლამობით რწყილს ვპოულობ პერანგში,
გზა რომელმაც საკუთარი უწყოდა.

* გერმანელი პოეტისა და მწერლის ემილ შტრაუსის (1866-1960) იგივე სახელწოდების მქონე ნაწარმოების გმირი.

დელაჩემს

შენს სამადლობლად სიმღერები აღევლინება
ჩემი სიცოცხლის – ხე-მაღალის – ყველა ტოტიდან
ლურჯ სივრცეებში, შენ ეს იცი, გულმა ინება –
ზეციურ პანგებს ვუსადაგებ მღერას მოტივად.

იქ, სად მარადი ადრესატი იმათ განაგებს,
ღიმილით ჩუქნის ანგელოზებს თავისას ყველას
და ყველა ფრინველს და პეპელას და ამხანაგებს –
ის ძლიერია, მოკვდავთაგან არ უნდა შველა

და ჭრელი ფრთების გამმსჭვალავი ზუზუნი-სტვენა
ნეტარი გუნდის ირგვლივ ისმის ყოვლადძლიური.
მათი ლივლივი ხმაშეწყობით აიდგამს ენას
და გამჭვირვალე სიმღერების მას აქვს იერი.

ცის კარიბჭესთან მოდარავე ანგელოზები
ერთმანეთს აწვებიან ღერივით შროშნის,
ცნობისმოყვარედ დაუხრიათ თავი ოცნებით,
თავებს ერთმანეთს მიაჭერენ – მათ შუქს რა მოშლის.

და შრიალებენ ფრთებიანი იმათი შხრები,
სპილოსმვლისფერად ელვარებენ ნათლით მოსილი,
მერე – მწყალობლის ტახტისაკენ ამოდ მარებნი –
დიდებულ ნათელს მოიხვევენ ადრიან დილით.

ეს უწმიდესი მძლე მხევალი მოიგერიებს,
ო, მოზეიმე მახარობლებს ფრთხილად და ფრთხილად
და ჩვენ, ცოდვილებს, ღვთისგან შობილთ, არა ფერიებს,

ის მოწყვალებით გვამცნობს ამას, მღერალი ტკბილად:

დიდი ზანია, მაღლმოსილმა და ყოვლისმცოდნებ
დედამიწისა უკვე უწყის ამბავთ კრებული,
რომ მის კალთაში (ვაღიარებ მოკვდავთა ცოდვებს)
ვაჟი ესვენა სასიკვდილოდ გაფითრებული.

და როგორც ყური ამა ქვეყნის ბავშვთა გოდების,
ბავშვთა მოლხენის შესასმენად მან გამამწესა,
მან გამამწესა და ყოველდღე მას ველოდები,
რადგანაც იგი აღვირჩიე ერთადერთ მწყემსად.

მარადისობის ტალღა

იასამანზე ჩიტი იჯდა და იგალობდა
ისე ტკბილად და მთლად თავისთვის და ნეტარებით,
რომ დამატყვევა – გალობდა და არა ჩქარობდა,
ჰანგი ისმოდა მსუბუქი და გასახარები.

მე კი ვიდექი, ჩემთვის სადმე, სულგანაბული,
დროის ქვიშიან სანაპიროს ვტკეპნიდი ნელა.
მარადისობის ტალღა შედგა და ძგერდა გული,
შეჩერდა იგი, არ შემეხო და არ გამოელა.

ხე-პატარძალი

ხევ-პატარძალო, საყვარლად ხარ აწითლებული
და ერთიანად ყვავილებით დამშვენებულხარ
და გაზაფხულის სურნელებით ოეთრად ვნებული
ცად მოსრიალე სიზმარივით ლამაზი თუ ხარ.

ჩუმად ეშვება შენს ლოყებზე წვრილი ფიფქები,
სუნთქვას ვერ ბედავ და ფიფქები ბალახში ცვივა,
ქობად გეკვრიან ფიფქები და შიშის ფიქრებით
შენი ნაყოფის მოლოდინში შიშისგან გცივა.

ეული გზა

ხშირად, შრიალა აღვის ხესთან, ბილიკს მივყვები
ზევით, მაღლობზე გაშენებულ ვენახის გვერდით.
იასამანი ძველ გალავანს გადმოსცერს ვნებით
და ამ ბილიკსაც იმის გასწვრივ მივყვები ჭვრეტით.

ზეცა, რომელსაც მიფარავენ ირგვლივ სახლები,
ფართოვდება და ავსებული არის მზის სუნთქვით
და დაბურული ნაკადული კვლავ განახლდება
ჩხიკვის ჭახჭახით გაზაფხულზე, აქამდე უტყვი.

მშვიდად ამოყოფ თავს შენ, ჩემო ყვითელო სახლო
მწვანე დარაბით, სახურავი ორფერდა გხურავს.
წელგამართული, ვაზიანის ზემოთ და ახლოს –
მთვლემარე ნატვრა გაიღვიძებს – თვალს დამიბურავს.

მსურს, ასე ვიდგე სიმწვანეში, მწვანით მოცული,
გადამდიოდეს შუბლზე მაინც მზე და ნათელი.
ყვავილობიდან ყვავილობას მოქსწროს გული,
სანამ მომმართავს ღმერთი, ვით ხეს, სიცოცხლე მთელი.

შინ

დაბლა ეშვება ლამე, მთელი ქვეყნის დამპურობი,
ჩუმად მივმჯდარვარ ერთიანად დაბურულ ბაღში,
სამყაროს მიერ გაჩაღებულ ომის თარეშში.
რა, არ გამართა აქ სამყარომ სასტიკი ომი?

ან ომის ზანძრის ნაპერწკალი არ ქრება ქვიშით?
ჩასძინებიათ ბავშვებს, ჩვენ კი ველით და ვიცდით.
ჭრიალებს კარი და საშიში ფიცის წინაშე
წელში ბოლომდე იხრებიან ზები შიშით.

ნაბიჯებია ეს მებაღის მხოლოდ, ის ამბობს
სალამს და მერე ჩვეულებრივ ჩააქრობს ფარანს.
ზეცას ავხედავ – ვარსკვლავების ბრწყინვა დაფარავს,

ჩემს თავს ზემოთ კი კენწეროებს სურთ გაინაბონ.
მითხარი, ღმერთო, რა ცოდვას ზღავს ცეცხლმოდებული
ქალაქი ესე – კაციშვილთა შესაკრებელი!

სიცოცხლე

რა მსუბუქი ხარ შენ, სიცოცხლევ, ამ ჩვენს დღეებში,
გაქრობისას კი ოსტატურად თავს გვევლებოდი.
სიკვდილო, შენი ჩრდილით ჩვენთან იარებოდი,
ვით შეგიძლია, რომ ათრიო ამდენი ლეში!

მიექანება მომცელავი საბრძოლო ეტლი
და ღრჭიალებს და მიყოლებით დააწვენს რიგებს
და გვამებს ხვეტავს ქარბუქივით, გზას ვერ გაიგნებ,
სანამ თვითვე არ დაიმსხვრევა, ქარბუქზე მეტი.

კვლავ ამწვანდება, აღზევდება გახრწნათა ზედა
ბებერი მიწა, მარადმწვანე და მარად ნორჩი
და ცას მიაღწევს სურნელება კვლავ ახალ მორჩის.

იგი არ სცოდავს, არ სჭირდება მონანიება.
გაპარტახება კვლავ აღდგომა იქნება მისი
და მას იფარავს უფლის ხელი – ხმა ციდან ისმის.

მოხუცი მებაღე

მებაღე ბაღში დადის მოხუცი,
ვარდების ბაღში მებაღე დადის.
არაფერს ელის, არაფერს უცდის,
გრძნობს, გვიანია და ცხადზე ცხადი.

გახევებული წელებით ცდილობს —
ახალამოყრილ ყლორტს დაქმაროს.
სიცოცხლის ბოლოს სურს, რომ უცქიროს
და ამ სიცოცხლით კვლავ გაიხაროს.

ო, საოცარი ოსტატობა

ო, საოცარი ოსტატობა, მძიმე ცხოვრება!
მარცხლება იგი, ვინც მას მხოლოდ ჭანვევით განიცდის.
ვინც არ გაურბის მას და ისე განეშორება,
მასზე მაღლდება, აამაღლოს რათა ის ფიცით.

ჩემს შვილებს

მინდა, თან გახლდეთ, რომ დადგება დრო ზღურბლთან მისვლის,
ვახეტიალო თქვენთან ერთად მხარეში ნისლის,
რაღაც მანძილი გავიარო მეც თქვენთან ერთად.

ვერ წარმოიდგენს სიყვარული ჩემი ვერაფრით,
რომ ერთ დღეს უნდა დაგტოვოთ და ხმას მივყვე აფრის,
რათა ვერასდროს ვეღარ გნახოთ, ყვავილნი ჩემნი.

შეშფოთებით და ზრუნვით ვუსმენ თქვენს სუნთქვას მუდამ,
გმრყემსავთ და გშველით – ეს ვალია – ვიქმოდე უნდა,
და მიხარია, როცა ჩნდება კიდევ სურვილი:

კიდევ რამდენი სილამაზე უნდა განახოთ,
რამდენ მწვერვალზე ახვიდეთ ან მიხვიდეთ ახლოს,
ხელმა ხელი სცნოს, გულს კი გული მისცეთ წყურვილი

და ეს მოხდება არავდარში, უქარო დარში:
მიმოიხედავთ მხიარულნი, სად მარტო დარჩით.

უეცარი შესველრა

განათებული გაზაფხულის დილის ნაშუქით
ყვავილთ ვარდისფერ, თეთრ სურნელში გამოხვეული
ვერცხლისფერ ბრწყინვით და სიქორფით სავსე, ეული,
გაწოლილიყო ეს სამყარო, მცირე, სალუქი.

სად, განაპირას ქალაქისა, მთები იწყება,
ქუჩა მიიწევს ფართოდ, ზევით, გორაკის თავზე,
სადაც სიმწვანე გულგრილ მზერას სიცოცხლით ავსებს,
სურათად ჩანდა ეს სავანე, არ მავიწყდება.

ამ დროს გზა ჩემსკენ ერთმა წყვილმა გადმოჭრა სწრაფად
გაჩერებაზე, სადაც ვიდეს. მათ მზერა მისწვდა.
საბავშვო ეტლში, ჭოჭინაში, პაწია იწვა,
სახეზე ეწყო ერთი ბეწო მკლავები ცქაფად.

მომვლელს მოჰყავდა. იგი ჩუმად და გამალებით
იქნევდა ფეხებს, თავი უკან გადაეხარა.
ალელვებული მყის შევჩერდი — ო, იმ პატარას
ამბის საკითხად, ვუყურებდი მსწრაფი თვალებით.

„რა სჭირს პატარას?“ — გავაცილე ჩემი გოგონა
სკოლაში, უკან ვბრუნდებოდი, ჩემს თავს ვხედავდი
ჩემს ქალ-ვაჟს შორის, მიმყავლნენ და იმედად ვყავდი,
ბედნიერებას შევიგრძნობდი, ხელით ოღონდაც.

„აი, ეს ბავშვი გოგონაა და დაბრმავდება.
ექიმი იმედს ვერ იძლევა და ცდილობს მხოლოდ
შეუმსუბუქოს ტკივილები ბოლოს და ბოლოს“.

სიტყვა ვერ ვპოვე ტკივილისგან, ვერა ბრალდება.

„საიდანა სჭირს?“ „ო, თავისით. არავინ იცის.
უკვე ვერ ხედავს“ – მიეწურა ბავშვი მის კალთას.
ბავშვს ზურგზე ხელი გადავუსვი და სითბო თვალთა.
ქვეყნიერებავ, ისევ თუ შობ სინათლეს, სიცილს!

ის და შენ

თუ შეგიძლია შეიყვარო, ვით მას უყვარდი
და შენი თავი უძღვნა, ვით მან მოგიძლვნა თავი?
ვინც საკუთარ თავს სრულად გითმობს და არა დარდით,
შენთა ცოდვათა გამო თავს ხრის, ვით ვინმე ავი.

თუ შეგიძლია, ერთადერთი შესწირო მსხვერპლი,
მას რომ სწადია — პაწაწინა სამყარო ესე.
ის გელოდება გარინდული — წვის შემდეგ ფერფლი,
შენ კი გარბისარ და სამოსი გასძვრება მყესებს
და ხარ შიშველი — იმ სამყაროს არ მისდევ წესებს.

ფისის სურნელი მზეში

ტყის განაპირას ფისის სურნელი
თუ ჩავისუნთქე განუკურნელი,
მგვრის ნეტარებას ისე ძალიან,
როგორც ტყის ძალა, და ტყის ბრალია.

თითქოს სამყარო ტყის სურნელია,
მზით გამობარ ჰაერს რომ მოჰყენია.
თითქოს ღმერთია, ო, ამ სუნთქვაში
და – ეს სიცოცხლე. და მე ფრთებს გავშლი.

და მოვა ღმერთი

და მოვა ღმერთი, უცილობლად დაგვიბრუნდება
იმ შორეთიდან, სადაც სახლობს ვარსკვლავთა მიღმა,
სფეროებიდან მგრგვინავიდან, და აღსრულდება
ღმერთთან შეხვედრა, როს არარა გარგია ნიღბად.

შენ კი იქნები, როგორც ქარში მტვრის ნაწილაკი,
სული იქნები, მის სუნთქვაში იფრენ და იფრენ.
მოგეჩვენება: მთვლემარე ბავშვს მოპგავხარ რაკი,
თითქოსდა დედის თბილ კალთაში ხვდებოდე ფიქრებს.

სიმღერა სიცოცხლეზე

ვით ქვიშა ხელში მოქცეული, სიცოცხლე მიდის,
ვარდება ღამის ბნელ ორმოში სიცოცხლის ხიდი
და თითქმის არც გვაქვს, ვით გამქრალი ღამის სიზმარი,
ტკბობით და ტანჯვით, ბრძად მოგვრილით, უბერავს ქარი.

შენ თვითონ ის ხარ, საიდანაც ვინც კი დაიწყო —
ვით ბავშვმა — თავის სიცოცხლე და ვითარცა კაცმა
წარსული, ვეღარ მოიშორა და ვეღარც — ჯვარცმა:
ის აღარ არის, მაგრამ გახსოვს, გახსოვს, რა იყო.

გვიმრები და კესანე

ნაკადული მოუჩანს კორდს ფირუზის მძივად,
გვიმრები და კესანე რთავენ მოლის მოვს,

მზე მომწვანო-ოქროსფერ ბრწყინვალებას ქსოვს,
გამაღვიძა ბულბულმა, ვაყურადებ, მივალ.

გზა, იქნება, ნელ-ნელა გავაგრძელო აწი;
ვდგავარ, როგორც სასწაულს გადაყრილი კაცი.

მოუსვენარი გაზაფხული

ყვავილთა წასვლას წაბლებიც სწუხან,
არც იასამანს აქვს ფერი ლურჯი,
მაგრამ ყვავილებს რაც გვიან ფურჩქნის,
მან ბრწყინვალება აფრქვია უხვად...

ცოცხალი ღობე კვირტების დასით
სუნთქვს და ხატავს მშვენიერ სურათს,
სახლის წინ რკინის გისოსებს ბურავს,
ქარი კი არხევს ბალახებს ბრაზით...

ჭრიჭინა

ლურჯად მკრთოლვარე ერთი ჭრიჭინა
ფრთების შუშიდან იღვრება ხმოქნად...
ერთ ადგილიდან დასცა ყიჟინა
და გახდა ჩემი ზაფხულის ხსოვნა.

ჩემს ზაფხულს, მაღლა, ზეცის სარკეზე,
ანთებდა ნატვრა არც ისე ცოტა,
დაბლა კი, მისი ნატვრის ნარგიზი
ჭის მრგვალი სივრცის ელვაში თრთოდა.

გვიმრის სიმწვანის, ვარდის სიყვითლის
სურნელი უკვე არ მხვდება გზად მე.
უსაზღვრობაში გაქრა იგი თუ
მოკვდა ჭრიჭინას სიკვდილით სადმე!

ვალისი

ნუთუ მკლავებში მიპყრიხარ ისევ
და მფრინავ სუნთქვით ლოყაზე ნაზად
კვლავ მეფერები, ვითარცა მაშინ!
მეც, როგორც მაშინ, გეხვევი ისე,
მაგრამ, ვაითუ, ოცნების თასად
იქცე და გაქრე, ვით ნისლი ცაში!

თმა სურნელოვნად მინათებს შენი,
შენს მზერას ვეძებ, ცისა ფერს ცამდე,
რომელიც მორცხვად დახრილი ჰყვავის...
და, როგორც ერთ დროს, ისევე მშვენი.
მომეცი ნება, იმ სარკის მწამდეს,
სადაც შენს გვერდით ვიპოვე თავი!

ნობი

ნობზე ფეხები არ უნდა მედგას,
ხელები ცნობენ ნოხს მათზე უკეთ:
მე მის ქსოვაში ვშველოდი დედას,
ვინც სააქაოს არაა უპვე.
დედა იხსნიდა სათვალეს დაღლილ,
მორცხვ თვალებიდან, ჭაღარა თმის ქვეშ;
ხარობდა, მძლევი რომ იყო ნაღვლის...
რამდენი ფიქრი მოფრენდა მისკენ!
სიყვარული კი, გამღები მსხვერპლის,
განუზომელი გააჩნდა დედას!
უნდა ვკოცნიდე მის ნაქსოვ პეპლებს
და – ფეხით მიწუვს იმათი ცვეთა!

სული

შენსავ სახლში სტუმარობ
და ყოველთვის მზადა ხარ,
რომ გასცურო მდუმარედ
სიმაღლეთა გადაღმა...

ჟამს მოელი ისფერს
და ტყვეობას აზამთრებ,
რაც სურვილებს მიისევს
უსაზღვრობის ხაზამდე...

სააქაოს სცილდები,
სხეულს დაბლა ფანტავ და
მაღლა ფრენით ბინდები
გშორდებიან თანდათან...

მიფრენ – ფრთებს აღაზევებ,
სვამ სივრცეებს ფრთებითვე,
რომ ამაღლდე თავზე და
სამშობლოში შეხვიდე...

სიკვდილს

ქვეყანა გიცნობს კენტ არსეს,
უმეგობროს და უძმოს,
მაგრამ ყველასთვის უცნობს
სიმშვიდე თუ აქვს შენთან.

მოსული თავის ნებით
მიგყავს და სადღაც ფლავ შენ,
გვიკლავ ძუძუთა ბავშვებს
და არასოდეს კვდები;

მშვენიერებად ელავ
და სიცოცხლესთან დაობ,
ფსალმუნის ბგერავ ღრმაო –
შინ შენით მიდის ყველა;

ხარ, ვინც ბრმასავით შედის
სარკმლიდან სახლში, სადაც
შენსას დასწვდები ნადავლს,
მეუფე კაცთა ბედის:

თუმც შენც დაგძახებს ჰოპლას
ის, ვინც გმბრძანებლობს დღემდე
და, რაღაც დროის შემდეგ,
შეგებმება და მოგკლავს.

ახალდაბადებული

ის თავის თავთან ჯერაც მარტოა,
ჯერაც არ იცის, რომ ჩვენ ვჭირდებით.
ჩვენ გვინდა, მისთვის ვიქცეთ გართობად
და მასზე ზრუნვით ვზიდოთ ტვირთები...
მას კი, კენტს, წმინდას, მნათობის დარად,
ჯერ სიყვარული ჩვენდამი არ აქვს...

ახალგაზრდობა

მიზიდულობას, ტკბილს, თანაც მწარეს,
ვგრძნობ შენგან, თუმცა შორს დამრჩი ძლიერ.
ვკრთი: ნუთუ შვილიც, გამჩენის მიერ
მოძღვნილ სიყვარულს გაატანს ქარებს?

ვარ შენი ჰანგის მთავარი ბგერა.
ვარ შენი მწვანე შრიალის ფესვი:
ჩემგან გაქვს გულის ამაყი ძგერა,
ყოფნის შხამიც კი ჩემსავით შესვი.

სარკე წყალზე

ჩაიძირა ნეტარ
გარსში ღრმად პლანეტა
და თავს ფიქრით ირთობს
და ცა ჰურავს მჭიდროდ.

ზევით, შუქში, მეც ვერ
ვხედავ, მაგრამ ვეძებ
და სხივების მფრქვევი
არის იგი ქვევით.

საღამო

ახლა კი უკან დავბრუნდეთ ნელა,
ეს გზაც ეშვება წარსულის გასწვრივ,
ამ სიშორიდან, ერთხელაც, ხელი
მოვიჩრდილოთ და გავხედოთ საწყისს.

ქვეყანა ოცვლის ფერსა და სახეს,
გუშაგობს ცაში, ქედების ბოლოს.
რა გველის, სიზმრად როდისღა ვნახეთ?
დამე რომ მოვა, ეს ვიცით მხოლოდ.

დედაბრის ყვავილობა

გაზაფხულო, მშვენიერო ყონაღო,
ძალას კარგავ, აღსასრული გელის.
გადარჩენის გზას როგორლა მონახავ,
აქ ზაფხული მოიჩქარის ცხელი!

მაგრამ როცა შემოდგომის არფა-ტყე
ფოთლის სამოსს ნება-ნება კარგავს,
შენ პაერში, ქვეყნის ბოლოს, ფარფატებ
ბუკის ექოდ და ხარ ძლიერ კარგად.

სამყარო

ვერ შეიძლებ სამყაროსთან სიმშვიდეს –
უნდა მისცე, რაც ცხოვრების სიმში დევს.

*

არ შეშინდე – შემოგერტყას კამარად!
ნუ ეცდები, დარჩე თავის ამარა!

*

ნუ ეცდები, აზრი მისცე ყველაფერს,
ყველაფერზე უქმად აღარ ღელავდე!

*

ნუ ედები სამყაროსთან ნაყუდებს,
წასვლის ნებას მოგცემს, წინ თუ აღუდექ!

*

ოღონდ, ნუთუ არვის ჰგავნარ, ნეტარო?!
ისე კი სჯობს, რომ არავის ედარო!

სცენა

დაეშვა ფარდა, მაგრამ განა უკვე დამთავრდა
პიესა, სადაც როლის კარგად მცოდნეს ედრები?
და გეჩვენება – მაღლდებიან სცენის კედლები,
არადა, დგახარ დასაწყისის სასტიკ ზამთართან.

და შენ გასასვლელს რომ ეძახი, აქ ითენთება
ხორცი, სული კი ირონიულ ხმაზე კისკისებს,
რადგან დასაწყისს სულ მივყავართ უცნობ მიზნისკენ
და როს გვგონია გვიღამდება – გაგვითენდება.

შინ დაბრუნება

ჭეშმარიტების მძებნელი ვარსკვლავებს უნდა ელტვოდეს,
ერთხელ შორეთში შედგება, მისული ზეცის ერდომდე,
და გაიფიქრებს: შეხედე! – აქ როგორ დაიმალები! –
უცხო მხარეში გეცნობა შენი სამშობლოს თვალები...

არ იკითხო

არ იკითხო აზრი.
ჭვრეტდე მწუხრის კრებას.
ცხოვრებაა მკაცრი,
ყველაფერი ქრება.

ჩვენ ვარსკვლავებს მძივად
ვნახავთ ბნელში შემდეგ,
და სიშორე მივა
დაღუმებულ დღემდე.

თარეშისას რასაც
ვეღარ ნახავ გზაში,
ნუ გჯერა, რომ არც სხვა
ხედავს იმას მაშინ.

ბალი ზამთარში

I

თოვლის ნისლი ბალში დადის ლანდად,
იდუმალი მწუხრის ღრუბელთ შუქით.
ხეებს უკვე არაფერი უკვირთ,
ხეებს შორის ნისლი მუდამ ჩანდა,
რასაც რბილად იხუტებენ, ანდა
ირზევიან იმის დრეკად ტანთან.
ხოლო გზისპირს, სადაც ნუშის ზე დგას,
ბუჩქნი ჩანან მჭკნარ შრიაშლი თეთრად.
ღობის ზემოთ ცას სურს ნატვრით მხარჯოს
და ყველაფერს სარკმელს ვავლებ ჩარჩოდ.

II

ხვეტს მებალე თოვლის ფენებს ნიჩბით,
დუმილს არღვევს ქნევა მისი ხელის;
ბალი, თითქოს, საოცრებას ელის,
ზე ღრჭიალებს შეღამების ნისლში.

ვიდრე ბორცვზე სიქათქათე სუფევს,
ცას თანდათან ექუფრება მზერა,
ბორცვი, შუქს რომ ეფერება ჯერაც –
ღამისთევის განცდას ერთვის უკვე.

პირველი სიმწვანე

მარტის პაერი, ოდნავ
თბილი, კრთის სახლის ირგვლივ
და გარეთ, თავის მოთნედ,
ნელა მიტყუებს იგი.

კარში გასული, მომცროს
ვდგამ ღობისაკენ ბიჯებს,
ო, ელვარებავ მორცხვო,
შენს მზერას რიდით ვიჭერ.

შორეული ხე

ხე კენწეროთი ფანტავდა ავდარს,
გაუთავებელ ზუზუნით მფრთხალი,
მან ყვავილებით დამიტკბო თვალი,
და სურნელებით ცხონებას ჰგავდა.

დღეს ის სურნელი გარდასულს ერთვის,
ხე კი ხელს ვეღარც ხსოვნიდან მიქნევს,
ხე, რომლისკენაც მივყავდი ფიქრებს,
კარგა ხანია არ ჰყვავის ჩემთვის.

შენ გქონდეს, სულო! ის თავის ნატვრის
ჩრდილს გაშლის, ბოლო მიზნამდე უჩჩი
და ნატვრის ფარშევანგისებრ კუდში
გაივლის იმ ხის ურიცხვი დარღი.

დაბადების დღე

ჯერ კიდევ ვხედავ, მდგომარეს მზეში,
იმ დღეს, რომელიც, დიდი ხნის წინათ,
ბედნიერების ლამაზი თქეშით
მე მასველებდა გარეთაც, შინაც.

და შენი ხელი, თითქოსდა, სიზმრად
მეჭირა, როგორც – უსაზღვრო სივრცეს
და ნება-ნება ვიგრძენი ის, რაც
სიცარიელის კედლებში ვიგრძენ...

მრავალი საოცარი მოგზაურობა

მრავალჯერ დავტკბით საოცარ
მოგზაურობით ადრე,
სურნელი ჰქონდა ბარსაც,
როგორც მშვენიერ ვარდებს,
ღამეც სურნელით ვათვრეთ...

დილა მშვენიერ სავანედ
ხვდებოდა მრავალ სურვილს,
ვპოვებდით ფარულ თავანებს,
მძლევი ვიყავით ურვის,
ჭერს არ ვუმზერდით მდურვით.

რაღაც კი დაგვრჩა სამწყემსად,
შორეთიც წმობით გვიტევს,
გავცქერთ და, ახალგაზრდებმა
ნება რომ მოგვცენ დიდებს,
აქ დავრჩებოდით კიდევ.

თეთრი ვარდები

თეთრი ვარდი ერთ ღამეში ასწრებს
ჭკნობასა და ფურცელ-ფურცელ ცვენას:
ისე, როგორც შენს საშინელ აზრებს
ძალუბთ მთელი სამყაროსი წყენა!

საკმაოა ღრუბლის ქულა ვიწრო
შუქს გაუყვეს, ზემოთკენ რომ ადის,
და იმისი დანაკლისი იგრძნო,
რაც ახლოდან ნახე ოდნავ მნათი.

ძნელი ცხოვრება

ტვირთი, რომელიც დღითა და ღამით
მჭრის უხილავი მტერივით ახლაც
და გულს, დაღალულს, მიმძიმებს შხამით,
ჩემს დიდ გრძნობებზე ძლიერი გახლავთ.

და რაც სხვებისთვის ქროლაა შუქის,
ფერთა მღერა და ჩრდილების ცეკვა,
ის ჩემში დაბლა ეშვება უკვე,
სულს და გონებას მივსებს და მლექავს.

და წასვლის ნაცვლად დავიწყებ ტორტმანს,
და რაც შემთხვევით გადამეყრება
და ჩამიხერგავს მუქარით გზას მე,
მასთან სიკვდილი ფეხს ვეღარ მოდგამს.

ერთხელაც...

ერთხელაც მინდა მაისის ტყეში
მივაყურადო გუგულის ძახილს
და იყოს იგი პირვანდელ სახის,
რომ ნეტარ სიზმრებს ავუღო გეში.

ერთხელაც მინდა გავგრილდე რუსთან,
მწვანე აკვანში ქვებზე რომ მიხტის
და არასოდეს აპირებს სიკვდილს
და ლაპარაკობს ჩემსავით ზუსტად.

ერთხელაც მინდა ვუსმინო მაღლა
ხმას, რასაც ხეთა კენწერო ბადებს,
დავიწყებათა საშიში ბადე
ვიდრე სიცოცხლეს ექცევა სახლად.

სულის თავგადასავალი

ენა

ყველასთვისაა იგი, მაგრამ თავის თავს დღემდე
მაინც არავის სთავაზობს და ღალატობს ყველას.
ბრძად ვინც გაება მის ბადეში და უხმოდ ღელავს,
ის მხსვერპლთაგანაც თავს დაიცავს ათას წლის შემდეგ.

თუ ახლა თავის ცრემლებში წყვეტს ტყვეობის ღვედებს,
უცებ გაივლის ღრუბლებს მაღლა, ღაუვარდის ველად,
ვისი — ყველასთვის, ბუნდოვანი — ღუღლუღიც წრფელად,
ისე გაისმის, თითქოს ღავის ოხშივარს სცემდეს.

ხან უსაძაგლეს ტვირთს მიათრევს და იწყებს კვნესას,
ხან ურჩხულდება, ხმას გამოსცემს მაღალ რეგისტრით
და ცდილობს, ზუსტად მას შეეხოს, რასაც კი თესავს,

ხან აფრქვევს წუხილს და წვეთ-წვეთად სცემს მაღლის აპრილს,
ხან კი ისწრაფის მორეთისკენ გაშლილი აფრით
და რჩება მუდმივ ფათერაკად ოსტატებისთვის.

დამშვიდობება

დამშვიდობება – ყველაზე მძიმე
არის და აღარ გიბრუნებს იმედს...
მას გზებზე განა შენ მარტო ხვდები –
მუდმივ სრბოლაში ერევა გზები.

არასდროს გიმხელს, თუ ვისგან რა სურს,
მაგრამ ხანდახან იხსენებს წარსულს
და ყველაფერი, თითქოსდა, მასთან
მიჰქოდეს, რაკი ხელიდან გასხლტა.

დრო

დროვ, ისე იცი ქროლა,
ისე გადუფრენ ხრამებს,
რომ, დღე არის თუ დამე,
ყოველთვის მი პყრობს ძრწოლა.

თავი მეგულვის სადღაც,
შენ კი მიტაცებ სხვა მხრით,
ლამის სიცოცხლეს გამყრი,
არ ტოვებ იმ გზის კვალსაც.

თანაც ხარ ისე წენარი,
რომ მიჭირს, აქ თუ სხვაგან,
სიკვდილის კარისაგან
გარჩევა შენი კარის.

სარკმლიდან

შეიპყრობს ბაღს და წივის
მწუხრის სინათლე ცივი.

ხეებს, სიო რომ არწევს,
ცა უდევთ მრუმე მხარზე.

თოვლი შუქს შესვამს შიშით
და ლურჯად კრთება ძილში.

მწუხრის სიწითლე ზამთარში

სიწითლე ზამთრის მწუხრის
გაწვა გაძარცულ ბაღში.
ცას ღრუბლის კუპრი ახშობს.
ქედს ყველა სიკვდილს უხრის.

მხოლოდ მცირე წნით ღებავს
ყველაფერს შუქი ბაცი.
ჩამობნელდება აწი.
ღამეც ესწრაფვის შვებას.

შინ დაბრუნება

უამი მძღლავრ ფრთებსაც ასვამს ძლიერ დაღს,
გულადსაც ელის ძრწოლა მშიშარის:
სევდიანობა არის ნიშანი
მხოლოდ მოკვდავთა და მიწიერთა.

სიკვდილის არის წასვლა შინისკენ –
თავის დადება მშობლის კალთაზე,
ხოლო მიზანი, დღეს თუ ხვალ და ზეგ,
დასასრულია დასაწყისშივე.

ყვავილების გვირგვინი

ტანჯვა-წამება, დიდიც, პატარაც,
მარტოსულ გულში ფეთქვით გაება:
სულ რომ აცოცხლოს, უნდა ატაროს
კაცმა თავისი ყველა ვაება.

დასაბამიდან ისინი ნაცრის
სახვევებია ჩვენი თვალების:
დამჭერარ გვირგვინშიც მალული აზრი
მუდამ შრიალებს იღუმალებით.

სიღრმიდან

ჩემს ძეულლეს

ჩემი ტანჯვისა და სიღარიბის
და გაჭირვების პირველყოფილი
სიღრმეებიდან, ხსოვნის ქარებით,
მხსნელ სიკვდილს ვუხმობ ხელაპყრობილი.

რაც მიმიღია წვალების ნაცვლად,
მათ გვერდს ავუვლი ყველას უქლებლად,
ოღონდაც შენგან უდროოდ წასვლა
ყველგან აჩრდილად დამემუქრება.

ზღურბლზე

დაღამებამდე იფიქრე ზღურბლზე,
რომ ძღვენი არის, რასაც შენ უმზერ:

ერთგული ცოლი, შენი შვილები,
შაშვის ხმა, ზეცა და მზის სხივები.

ღირს ხარ? არა-თქო, და მართალ ღარიბს
ჭეშმარიტების გაგეღოს კარი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

პუნი ფონ პოლანდიანი

ჩემთვის

პწკარედი ანა კორძაიასი; თარგმანი დალილა ბედიანიძისა
პროლოგი წიგნისა “ანატოლი”

პწკარედი ანა კორძაიასი; თარგმანი გია ჯოხაძისა

ადრეული გაზაფხული

პწკარედი ანა კორძაიასი; თარგმანი დალილა ბედიანიძისა
სიცოცხლე

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი ბათუ დანელიასი
მე ვეშვებოდი...

პწკარედი ანა კორძაიასი; თარგმანი გია ჯოხაძისა

სამყარო და მე

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი ბათუ დანელიასი
ტერცინები

I პწკარედი ანა კორძაიასი; თარგმანი ბათუ დანელიასი

II თარგმანი კონსტანტინე ჭ. გამსახურდიასი

III თარგმანი კონსტანტინე ჭ. გამსახურდიასი

IV პწკარედი ანა კორძაიასი; თარგმანი ბათუ დანელიასი

სამყაროს საიდუმლო

პწკარედი ანა კორძაიასი; თარგმანი გია ჯოხაძისა

ბალადა სიცოცხლის მიღმა

პწკარედი ანა კორძაიასი; თარგმანი ბათუ დანელიასი

დიდი ჯაღოქრის დასიზმრება

პწკარედი ანა კორძაიასი; თარგმანი ბათუ დანელიასი

წერილი რიხარდ დემელს

პწკარედი ანა კორძაიასი; თარგმანი ბათუ დანელიასი

ზოგი მანც...

პწკარედი ანა კორძაიასი; თარგმანი ბათუ დანელიასი

კეთილი დრო

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი გია ჯოხაძისა

ჭაბუქი სანახში

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი ბათუ დანელიასი

შენი სახება...

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი ბათუ დანელიასი

ერთ ქალს

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი ბათუ დანელიასი

ბიჭი

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი გია ჯოხაძისა
წარწერა

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი გია ჯოხაძისა

NOX PORTENTIS GRAVIDA

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი ბათუ დანელიასი
უსასრულო ღრო

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი ბათუ დანელიასი
ორივენი

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი ბათუ დანელიასი
პოეტთა საუბარი

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი გია ჯოხაძისა
ბავშვისადმი

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი გია ჯოხაძისა
მსახიობ მიტერვურცერის გასახსენებლად

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი ბათუ დანელიასი
უწყება

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი ბათუ დანელიასი
ერთ გზას ვაღექით

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი გია ჯოხაძისა
ჭაბუქი და ობობა

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი ბათუ დანელიასი
მგზავრული

თარგმანი კონსტანტინე ზ. გამსახურდიასი

სამხრეთული მთვარიანი ღამე

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი ბათუ დანელიასი

სამი პატარა სიმღერა

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი ბათუ დანელიასი
ბებია და შეიღილშეილი – ბიჭუნა

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი გია ჯოხაძისა
მსახიობ ჰერმან მიულერის გარდაცვალებასთან დაკავშირებით

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი ბათუ დანელიასი
ბედნიერი სახლი

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი ბათუ დანელიასი
გემის ტყვე მზარეული მღერის

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი ბათუ დანელიასი
არნოლდ ბიოკლინის სულის მოსახსენიებელი

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი ბათუ დანელიასი
ზაფხულის მონატრება ბერიქაცის მიერ

პწკარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი ბათუ დანელიასი
რაა სამყარო?

პწკარედი ანა კორძაიასი; თარგმანი დაღილა ბედიანიძისა

თუ სედავ ქალაქებს?

აწყარედი ანა კორძაიასი; თარგმანი დალილა ბედიანიძისა
ჩემი ბაღი

აწყარედი ანა კორძაიასი; თარგმანი დალილა ბედიანიძისა
მსახიობ იოზეფ კაინცის მოსახსენიებელი სტრიქონები

აწყარედი ასმათ ფიცხელაურისა; თარგმანი ბათუ დანელიასი

რისარდ ზონ შაშკალი*

გისოსი თარგმანი გივი აღხაზიშვილისა
მაისი თარგმანი გივი აღხაზიშვილისა
პიერო უქრავს მანდოლინას... თარგმანი გივი აღხაზიშვილისა
კოლომბინა თარგმანი გივი აღხაზიშვილისა
ოვაბური სცენა თარგმანი გივი აღხაზიშვილისა
მარტის თოვლი თარგმანი გივი აღხაზიშვილისა
აღდღომა თარგმანი გივი აღხაზიშვილისა
კასანდრი თარგმანი გივი აღხაზიშვილისა
ფიქრები თარგმანი გივი აღხაზიშვილისა
შემოღომა თარგმანი გივი აღხაზიშვილისა
ქაწიწვერი ნატერა თარგმანი გივი აღხაზიშვილისა
ღამეს თარგმანი გივი აღხაზიშვილისა
პატარა ქაღლო თარგმანი გივი აღხაზიშვილისა
ესპანელი ინფანტის სურათი თარგმანი გივი აღხაზიშვილისა
ჩამოშენიკვალი პიერო თარგმანი გივი აღხაზიშვილისა
ჩრდილოა თამაში თარგმანი ღავით ახალაძისა
ტყის ქათმების გადაფრენა თარგმანი გივი აღხაზიშვილისა
მთვარიანი ღამე თარგმანი გივი აღხაზიშვილისა
სიცოცხლე თარგმანი გივი აღხაზიშვილისა
უფალს თარგმანი ღავით ახალაძისა
ზოგჯერ, შუალამისას თარგმანი გივი აღხაზიშვილისა
მოტაცება თარგმანი დალილა ბედიანიძისა
ისინი თარგმანი დალილა ბედიანიძისა
ბავშვები თარგმანი დალილა ბედიანიძისა
საბაგშვი სიმღერები თარგმანი დალილა ბედიანიძისა
ღვედაჩებს თარგმანი დალილა ბედიანიძისა
მარალისობის ტალღა თარგმანი დალილა ბედიანიძისა
ხე-პატარძალი თარგმანი დალილა ბედიანიძისა
ეული გზა თარგმანი დალილა ბედიანიძისა
შინ თარგმანი დალილა ბედიანიძისა
სიცოცხლე თარგმანი დალილა ბედიანიძისა
მოხუცი მებაღე თარგმანი დალილა ბედიანიძისა
ო, საოცარი ოსტატობა თარგმანი დალილა ბედიანიძისა

ჩემს შვილებს თარგმანი დაღილა ბედანიძისა
უეცარი შეხვედრა თარგმანი დაღილა ბედანიძისა
ის და შენ თარგმანი დაღილა ბედანიძისა
ფისის სურნელი მზეში თარგმანი დაღილა ბედანიძისა
და მოგა ღმერთი თარგმანი დაღილა ბედანიძისა
სიმღერა სიცოცხლეზე თარგმანი დაღილა ბედანიძისა
გვირები და ქესანე თარგმანი ბათუ დანელიასი
მოსუსენარი გაზაფხული თარგმანი ბათუ დანელიასი
ჭრიჭინა თარგმანი ბათუ დანელიასი
ვალსი თარგმანი ბათუ დანელიასი
ნონი თარგმანი ბათუ დანელიასი
სული თარგმანი ბათუ დანელიასი
სიკვდილს თარგმანი ბათუ დანელიასი
ახალდაბადებული თარგმანი ბათუ დანელიასი
ახალგაზრდობა თარგმანი ბათუ დანელიასი
სარეკ წყალზე თარგმანი ბათუ დანელიასი
საღამო თარგმანი ბათუ დანელიასი
დედაბრის კვავილობა თარგმანი ბათუ დანელიასი
სამყარო თარგმანი ბათუ დანელიასი
სცენა თარგმანი ბათუ დანელიასი
შინ დაბრუნება თარგმანი ბათუ დანელიასი
არ იკითხო თარგმანი ბათუ დანელიასი
ბაღი ზამთარში თარგმანი ბათუ დანელიასი
პირველი სიმწვნე თარგმანი ბათუ დანელიასი
შორეული ხე თარგმანი ბათუ დანელიასი
დაადების დღე თარგმანი ბათუ დანელიასი
მრავალი საოცარი მოგზაურობა თარგმანი ბათუ დანელიასი
თერთი კონდები თარგმანი ბათუ დანელიასი
მნელი ცხოვრება თარგმანი ბათუ დანელიასი
ერთხელაც თარგმანი ბათუ დანელიასი
სულის თავგადასაგალი თარგმანი ბათუ დანელიასი
დაშტეილობება თარგმანი ბათუ დანელიასი
დრო თარგმანი ბათუ დანელიასი
სარქმლიდან თარგმანი ბათუ დანელიასი
მწუხრის სიწითლე ზამთარში თარგმანი ბათუ დანელიასი
შინ დაბრუნება თარგმანი ბათუ დანელიასი
ყვავილების გვირგვინი თარგმანი ბათუ დანელიასი
სიღრმიდან თარგმანი ბათუ დანელიასი
ზღურბლზე თარგმანი ბათუ დანელიასი

* რიხარდ ფონ შაუკალის ყველა აქ წარმოდგენილი ლექსის პწყარედი მოამზადა თენგიზ ხაჭაპურიძემ.